


წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

29 სექტემბერი 2023წ. №13 (4073) გამოცემის 92-ე წელი ფასი 2 ლარი



დათო მატრაცე

ყმანვილი ბუმბით - ახე 12-წყნარისნი რეკომენდაციის შესახებ

- სალამი, მკითხველო! - ეს მე ვარ ჯაკომო, დათომ საკუთარი პოემის გმირად რომ მაქცია... თუ ვსტუმრობ, პისკატორს, ან კომოს... ისე კი ფირენცეს მახლობლად ვბინადრობ. ფანჯრიდან გაყურებ კარიერს კარარის, ხან თვალში მეყრება მარმარის ნაცარი... - ევროპა! - ჯერ ვიტყვი, იმას რაც არ არის და მერე ვეცდები, განიშნო რაც არი. დათოს აგვისტოში კვლავ შევხვდი კაპრიზე, მითხრა, რომ რეცეპტი სურს მამის Palazzo-ს მზარეულს წაუღოს, სალათის - „კაპრეზე“, 12-პუნქტიანი კაპრიზის სანაცვლოდ. ... მასების ამბოხი კვლავ ითხოვს შესანირს, დგას ფილოსოფოსი... პილატეს პალატი... - ჯოს! ჯოს! ჯოს! - ძირს! ძირს! ძირს! - ჯოს! ჯოს! ჯოს! - ძირს! ძირს! ძირს! სამშობლოს სახელით კულტურის ლაღატი. ... დათოსგან რაც ვიცი, არ უთქვამს ლიტონი ფრანკი კი და ფიქრში განაგრძობს ხეტილს, ვინც არის ავტორი საკრალურ სტრიქონის, რომ: - ჭეშმარიტება მამულზე მეტია. მჯერა, რომ მწყურვალის შველაა H2 - O, - ვფიქრობ თემა დრამატულ ლირიკის... თუ ჭეშმარიტება გულისხმობს, მათ შორის სამშობლოს, ვერ ვიტყვი იგივეს, პირიქით.

▶ დასასრული. 80-2 83.

პრემია „საბა“ - 2023

სამშაბათს, 19 სექტემბერს „შატო მუხრანში“ გაიმართა ლიტერატურული პრემია „საბას“ 2023 წლის ლაურეატთა დაჯილდოება.

2023 წლის „საბას“ გამარჯვებულნი არიან:

წლის საუკეთესო რომანი - ზაზა ბურჭულაძე („ვარდის სურნელი“) და ივა ფეხუაშვილი („მასკარაფონე“);

მკითხველის „საბა“ - გოდე გორგილაძე („რიო-დე-ჟანეიროს ხელმწიფე“);

წლის საუკეთესო დებიუტი - გოგა ქობალია („ჩემი ყანა გადაიქცა მერცხლად“);

წლის საუკეთესო პიესა - „ვალერი ოთხოზორია („წმინდა ნაწილები“);

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა - ნანა აბულაძე („ორივე სქესი“);

წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა - თეიმურაზ დოიაშვილი და ნათია სიხარულიძე („გალაკტიონი უცნაუროდ“);

წლის საუკეთესო პროზაული კრებული - ლუკა ბაქანიძე („რომელი ხარ სარდაფსა შინა“);

წლის საუკეთესო პოეტური კრებული - ნინო ელიაშვილი („სხვა სახელი მოუხდებოდა“);

წლის საუკეთესო ქართული თარგმანი - დოდო ყვავილაშვილი (ხორხე ლუის ბორხესის „ფიციციები“) და გიორგი ხულორდავა (აბდორ-რაჰმან ჯამის „ბაჰარესთანი“);

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში - ელზა გურგენიძე („ზაოდი“) და ლევან ბერძენიშვილი („ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი“);

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - ელზა ახვლედიანი;

„საბას“ სპეციალური ჯილდო - ნატა ლომოური.

სოსო პაიჭაძე - 80

ბახსენება


სოსო პაიჭაძე იყო იშვიათი ტალანტის მქონე მწერალი, რომელიც ჩუმად, უხმაუროდ ქმნიდა უმაღლესი დონის პროზას. იგი პიროვნული ხასიათით ზუსტად შეესაბამებოდა თავის შემოქმედებით სტილს, რომელსაც ცნობიერების ნაკადის ლიტერატურას უწოდებენ. მისი მოთხრობები არის გრძნობების, აზრების, განცდებისა და შთაბეჭდილებების სიღრმეებში ჩასვლა სულის დიალექტიკის ბილიკებით.

ცნობიერების ნაკადის სტილისტიკა - როგორც მისი ხასიათი და თვითგამოხატვის ფორმა, რომელიც, ერთი მხრივ, ევროპისაკენ მიგვახედებდა და, მეორე მხრივ, ქართული პროზის საუკეთესო ტრადიციებს ეყრდნობოდა - სულაც არ იყო გასაკვირი, რადგან მას ვიცნობდით როგორც განონანსორებულ, ღრმა ინტროვერტსა და განათლებულ, ერუდირებულ ადამიანს, რომელიც ბედისწერით იყო დაკავშირებული ლიტერატურასთან.

თავის შესანიშნავ მოთხრობებში „მეთევზე“ (1969), „უკანასკნელი დუბლი“ (1971), „იროდონი“ (1976), „ბაქანი ბოტანიკური ბაღი“ (1977), „სადაც, გზის პირას“ (1982), „თბილი, გრძნული წვიმა“ (1989) დაგვანახვა თავისი თანამედროვე ქართველი კაცი - ყოფითი შეჭირვებებით, სულიერი წინააღმდეგობებითა და არსებობის შიშით შებოროტილი ადამიანი.

თავის ვრცელ პროზაულ ნაწარმოებში „სადაც დაეცი“ ერთგვარად შეაჯამა განვლილი შემოქმედებითი გზა და წარმოგვიდგინა მოახლოებული თავისუფლებით დაბნეული ქართველობის შინაგანი კვეთებიანი და ისიც მიგვანიშნა, რომ გადარჩენის გზა მონანიებაზე, თვითნაღიზსა და კომპრომისზე გადოდა...

დაიბადა 1943 წლის 21 აგვისტოს ბათუმში. სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რე-



აქონაკრები სულის დილაქვიძის

ფისორის ასისტენტად, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში ლიტერატურული გადაცემების მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში მთავარი რედაქტორის მოადგილედ...

გარდაიცვალა 1994 წლის 30 აგვისტოს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სოსო პაიჭაძე ბევრს არ წერდა, მაგრამ რასაც წერდა, ყველაფერი, ყველა მოთხრობა, ყოველი ფრაზა, ყოველი სურათი და ეპიზოდი უდიდესი პასუხისმგებლობით ჰქონდა შექმნილი. ოთხმოცდაათიანებში ვიღაცამ თქვა მასზე, ქართული მწერლობის პრესტიჟის დამცველი იყო. იყო და არის. მომავალშიც იქნება. ამის უეჭველი გარანტია მისი დიდი ტალანტი და ღირსებით განვლილი ცხოვრება.

ივანე
ამირხანაშვილი

„... შემთხვევით არ ხდება“

ლადო კილასიძე
83.3

სიზმრები
ათონიდან

ხატუნა დავითაშვილი
83.5

საუბროდგომო
მოტივებიდან

შუშუნა შალიძე
83.7

ორი
პარალელი...

ელგუჯა მარალიძის ნაწილი
83.12

როცა ბედი
გიღიმიხს


ვუკობრატოვიჩი
83.15

პირველი გვერდიდან

2
 რადგანაც მშველელის ძებნას ვერ შევეშვით და კერპის ლოდინი ადამის წესია, ამიტომ ევროპა ბიულეტენებში არ ეძებს მშველელს და არ ეძებს მესიას.
 თუ მხოლოდ წარსულის გახრჩობს ამბიცია, – მეილის სანაცვლოდ თუ მომწერ გრაგნილით, კვდება ტრადიცია...
 ცოცხლობს ტრადიცია, – ახალი ეპოქის ენაზე თარგმნილი.
 – ანმყოფ და წარსულის ქორწილი, სამსჯელოც არ არის, რომ უკეთ აკურთხა ყველაზე, – თარგმნა ლეონარდო და მიქელანჯელო ევროპამ, ყოფითი კულტურის ენაზე.
 ... არ წყდება ტირანის მომხრეთა ნაკადი, – სალამი, „ამარკორდს“! – დროს რომ არ დაშორდა, – მოაქვთ მუსოლინი კომიკურ პლაკატით, როდესაც ნაციზმზე იმარჯვებს ბავშვობა. გრაფის სახლს დეტალით (ვისხენებ „ამარკორდს“) ანიშნებს, ფანჯრიდან ჭერი ჩანს კესონის... და შეჩერებული წამებით ვამაყოფ, რომლითაც თვალს მიკრავს კარტიე-ბრესონი. ამ ღია სარკმელში მზის სხივს თუ ზეპირობ, ერთხელაც ქალმერთი შემოვა სარკმელით და გეტყვის, რომისკენ წავიყვანს გზები, რომ: – ნათქვამზე მეტია ყოველთვის სათქმელი.
 3

როცა დაუფინა ევანგელს ანტიკა მედიჩიმ... გულზე რომ ლილია ეკეთა... – Saluti, Lorenzo!
 – დიდება ვატიკანს!
 ვინც გასცა ბიბლიურ თემაზე შეკვეთა... როცა რონდანიის პიეტა პოეტის გაგიჩენს თრთოლვას და პოეტის პიეტას თაყვანს სცემ და ცრემლი თავისით მოედინება და განდევნი ტურისტულ პიეტეტს... თუ იგრძნობ პრადომი, რომ შენში ტურისტი კვდება და შემოდის სამყარო დიადი... თავს იგრძნობ ტაძარში, ღვინო და პურისთვის შესული, რომ იქნებ განაგდო წყვდიადი. რაინდი მწუხარე სახით რომ სალოსობს, – გამხდარი მკლავებით ქრისტეს რომ იხუტებს, რომ კვდება იდაღო კიხანო ალონსოდ, რომ მკვდრებით წამოდგეს, როგორც დონ კიხოტი...
 იმარჯვებს მწუხარე... და მუდამ ქვიშანი რჩებიან, ამ თემას შევუშვებ ლამპიონს, – წუხილი – უფროა კულტურის ნიშანი... გალიზიანება – ამჟღავნებს მდაბიოს.
 ... და მთვარის რომანსით ლორკამ რომ იარა გახსნა და ბავშვმა რომ მთვარეზე იელვა... ეს ლორკას ბოშაა, არმსტრონგი კია არა, ფეხი ვინც დაადგა მთვარეზე პირველად.
 4
 ... თუკი მოცარელას დაათლი პომიდორს, ცოტა ზეითუნი და ღვინო ფრიულის... მესამე ჭიქიდან გაგისხნის კორიდორს, – წამიერ ყოფიდან ჩანს მარადიული.
 უხილავ ძაფებით აერთებს არიერ-გარდსა და ავანგარდს, მე ასე მგონია, ღვინო და კაპრეზე გააქრობს ბარიერს, რომ ერთი სამყაროს დადგეს შარმონია. და მწყობრი ნაბიჯით: – მარცხენა! – მარცხენა!
 იარ და იარე... გვერდს თუ არ აუვლი, იხილავ ფრესკაზე ადამის გაჩენას, სად ხელის მტვევების დგას დღესასწაული.
 P.S.
 ... ასე რომ, მოეძებნე კაპრეზე რეცეპტი, კარადის უჯრაში წაგანყდი გუმანით, – აცხონოს... ბიცოლას ბლოკნოტში ვეძებდი, ბიცოლა კი გახლდათ ნამდვილი გურმანი.
 ასე რომ, დავეხსნათ პუნქტების დემონებს, თუ ძველი რეცეპტი ბლოკნოტში ხატია, არ აწყენს, მერნმუნეთ, თუ დააგემოვნებს ევროპის მაღალი ბიუროკრატიაც.
 – იცანი ევროპა! – გახედე მენინებს... მარად განახლების უკვდავი ფორმულით, – ყმანვილი ქუჩაში მზეს მოარბენინებს, თითზე რომ ბუმბივით ძაფით აქვს მობმული.

გან შექლო საგოგლოსთვის უსოხლა



გოგი ხარაბაძეს ისე ძალუმად უყვარდა სიცოცხლე, სამშობლო და ადამიანები, შეუძლებელია, მისმა გარდაცვალებამ განსაკუთრებული სინანული არ გამოიწვიოს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში! თუკი რომელიმე მოღვაწეზე იტყვის, თავისუფალი საქართველოს მოსაპოვებლად სიტყვით და საქმით ირჯებოდაო, ეს გახლავთ ბატონი გიორგი ხარაბაძე, სახალხო

არტისტი, ქართული თეატრისა და კინოს, სატელევიზიო თუ რადიო გადაცემების, მხატვრული კითხვის უბადლო ხელოვანი!
 მისი გარდაცვალების ცნობამ მყისიერად ის მწარე სიტყვები გამახსენა, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ დიდმა ხელოვანმა თავის ერთ-ერთ ნიგნში დანერა: „სულ მარტო ვარ, ხელნაკრავი, უარყოფილი. ვინც მიცნობს, იფიქრებს ასეთ დროს სულ გაბოროტდაო. არა, პირიქით... ტყვილელებითაა აღსავსე ჩემი სული, მაგრამ უნაზესი ტყვილელებით“.
 ვინც ვიცნობდით, ფიქრშიც ვერ დავუშვებდით მის გაბოროტებას... იგი იყო სამართლიანი, გულწაფილი და უტყუარი კაცი, რომელიც ცხოვრების უმძიმეს მომენტებში არასდროს ყრინდა ფარ-ხმალს, გაუსაძლის მარტობაში მუდამ ერეოდა საკუთარ თავს!
 როცა რუსთაველის თეატრისთვის ის მიუღებელი გახდა, პირუჩუმად გამოიხურა თავისი ყველაზე საყვარელი სამყოფლის კარი.
 ქართული მწერლობის, პოეზიის უკიდვანოს კოსმოსში პოვა მან თავშესაფარი. მუდამ ახალ პროექტებს დასტრიალებდა მისი გონება და ამით უმკლავდებოდა მარტობას. 50 წლის ასაკში, რუსთაველის თეატრიდან წამოსულს მას რომ ხელი ჩაეჭინა და წუნუნში გაეღია დარჩენილი წუთისოფელი, რამხელა მონაპოვარი დააკლდებოდა ჩვენს სულიერებას?!

სამი ათეული წლის განმავლობაში მან გამოსცა ათამდე ნიგნი, შექმნა ოთხი მოციქული: მათეს, მარკოზის, ლუკას, იოანეს „ახალი აღთქმის“ ტელევერსია. ასევე გააკეთა მსოფლიო პოეზიისა და ქართული საგანძურის აუდიოვერსია (29 დისკი), „ბიბლიის“ პირველი სრული აუდიოვერსია (51 დისკი). რაც დრო გავა, მხატვრული კითხვის ეს ნიმუშები გაცილებით მეტ ღირებულებას შეიძენს. ისინი სწორი და გამართული ქართულმეტყველების ქრესტომათიად დარჩება შთამომავლობას.
 დიდი გულისტკივილით ვემშვიდობები საქართველოზე მოფიქრალ და მის მომავალზე მზრუნველ დიდებულ პიროვნებას. მეგობრობისთვის თავდადადებულ კაცს, რომელიც თავის ყურადღებას და ადამიანურ სიტბოს ათასობით კილომეტრის მიღმაც მაგრძნობინებდა, რითაც უზომოდ ამაყიც ვარ და მადლობელიც!
 შემთხვევითი არ არის, რომ მან თავის ნიგნს „თამადას“ (გამომცემლობა „პეტიტი“, 2008 წელი) ეპილოგად ციციერონოს ეს სიტყვები წაუძღვარა: „შენ დაიბადე არა შენთვის, არა ჩემთვის, არამედ სამშობლოსთვის“.
 პირნათელი მიდის იმქვეყნიურ ცხოვრებაში გოგი ხარაბაძე, რადგან ღირსეულად განვლო ეს საწუთრო-მან შეძლო სიცოცხლე სამშობლოსთვის!
გიორგი ლალიაშვილი
 ლონდონიდან

ნოგელი - 2023

როგორც ცნობილია, ნოგელის ნორვეგიის კომიტეტმა გამოაცხადა, რომ წელს პრემიის მოსაპოვებლად სულ შესულია 305 კანდიდატის განცხადება,

რომლებიც წარადგინეს 212-მა ფიზიკურმა პირმა და 93-მა ორგანიზაციამ.
 305 კანდიდატი – ეს არის ყველაზე ცოტა რაოდენობა 2019 წლის შემდეგ. შარშან, მაგალითად, 343 იყო. უკვე მერვე წელია, პრეტენდენტების რაოდენობა 300-ს აჭარბებს. კანდიდატების სია მკაცრად არის გასაიდუმლოებული. ის მხოლოდ 50 წლის შემდეგ გახდება ცნობილი.

ლიტერატურის დარგში წარდგენილია სიაც შთამბეჭდავი ყოფილა. არაოფიციალურად სამოცდაათამდე მწერალს ამბობენ. ვინ მიიღებს ნობელს? პროგრძი უმადური საქმეა. ამიტომ დაველოდოთ 5 ოქტომბერს, როცა გამოცხადდება ახალი ნობელიატი ლიტერატურაში.
მალხაზ ივანიძე



ექვს ნოგელ, დაეაზებებით



„დილა“ №2-3

როგორც სახაფზულოს შეეფერება: მხიარული, სახალისო, ცხელ-ცხელი: ნესტან კუპრავას ლექსები; მაია დიაკონიდის მოთხრობა „ქლიავის კურკა“; ლალი ჯაფარაშვილის ლექსალობანი ციკლიდან „ყველაფერი თავდაყირა“; თამარი ფხაკაძის ზღაპარ-ნახატი „ვინ იცხოვრებს სახლში?“
 დალი მაზმიშვილისა და მაია კარსელის ჭკუისმარიგებელი ლექსები; კარლო კობერიძის „სიტყვის კონა“; ნინო მზესელის საინტერესო, სახალისო დავალებებიანი მოთხრობა; რა თქმა უნდა, კომისარ თანდილას საქმე №007;
 ლალი ლაჭავას, გია პაპუაშვილისა და მზია მექერიშვილის მხიარული ლექსები;

თამარ გეგემიძის კომიქსი „ბაბი ანტარქტიდაზე“; ამირან ჯამუხაძის მოთხრობა „ვანოს სიზმარი“.
 მხატვრები: მალხაზ კუხაშვილი, იულია ნიკოგოსოვა, გიორგი ჩაჩანიძე, კესო ფრანგიშვილი, ვაჟა ქურსული და პატარა მართა გუმბერიძე.
 ჟურნალს ერთვის „დილა“ ნიგნაკი – ლექსები ინგლისური საყმანვილო პოეზიიდან, მთარგმნელები – დავით წერეთლიანი, თამარ ერისთავი, გიორგი ნიშნიანიძე, ქეთევან თუხარელი. მხატვარი ბესო ხიდაშელი.

„დილა“ №4-5

კიდევ უფრო მრავალფეროვანი როგორც შინაარსობრივი, ისე სამხატვრო თვალსაზრისით:
 დალი მაზმიშვილის, ციციერო ბაბუციძისა და ნუგზარ გიგაურის სამფერა ლექსები;
 თამარი ფხაკაძის ზღაპარი „ქონდრის-კაცი ნონოს სკოლა“;
 ისევ კომისარ თანდილას საქმე, ამჯერად №00. „კრიმინალური ქრონიკა“, ცოტა თავსატეხიც.
 ლალი ჯაფარაშვილისა და ნესტან კუპრავას ხალისისფერი ლექსები;

პატარა თამუნა მთვარის საქანელაზე ნუნუ ქადაგიძის ზღაპარში;
 შემოდგომა ლალი ლაჭავას და ნუნუ ძამუკაშვილის ლექსებში;
 კარლო კობერიძის „ნამცვრევი“; როგორი გამოდის ლიმილით მოხარშული პანტის ჯემი? – მზია მექერიშვილის მოთხრობაში;
 დავით ძაძამიძის „ამოცანა“ – ყვა-კვაჭაჭაძის;
 მაია დიაკონიდის „ოთხყურა“ – იქ, სადაც მხოლოდ სამყურებია;
 ირინა ხურციძის ლექსალური კროს-ვორდი;
 ბატბუტის ბაქია მარცვლები და ნრუნუნა. ამბავი ნინო მზესელისაგან;
 მხატვრები: ნუგზარ გიგაური, გიორგი ჩაჩანიძე, მალხაზ კუხაშვილი, ლაშა სულაკაური, იულია ნიკოგოსოვა და პატარა ანა ასანიძე.
 დამატებული ნიგნაკი „ფრანგული საყმანვილო პოეზიიდან“, მთარგმნელები – მაყვალა მრევილიშვილი და ოთარ ჭილაძე. მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.





ლადო კილასონია: „ასეთი რაგები შეიძლება არ ხლავდეს“

ბრიტანელებმა, მათმა მწვრთნელებმა, გულ-შემატკივრებმა?

– ღირსეულად. მწვრთნელებმა მოგვილოცეს. მოგვილოცა ინგლისელმა გულ-შემატკივრებმა, დამარცხების ღირსეულად მიღება დიდი რამეა. ამას სწავლა და სიმაგრე უნდა და აქ ინგლისელებს არაფერი შეშლიათ!

– მგონი, სწორედ ამ თამაშის შემდეგ გააქტიურდნენ ფრანგი სკაუტები, რომლებიც სერიოზულად დაინტერესდნენ ჩვენი მორაგბეებით.

– არა, ლეგიონერები ამ თამაშამდეც ძალიან ბევრი გვყავდა და ამ თამაშის შემდეგ მათ რიცხვს მხოლოდ რამდენიმე შეემატა. ფრანგულმა კლუბებმა ამ ასაკის ჩვენი მოთამაშეები ბევრად ადრე შენიშნეს და ნაიყვანეს, ისევე როგორც ჩვენ, ქართველმა მწვრთნელებმა, საქართველოს და ამის წინა თაობა და მათ უკეთ მოსამზადებლად „ელიტარული აკადემია“ შეექმნათ.

– 24 ივნისს 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო სამხრეთ აფრიკაში. პირ-

რაგები რომ ჩვენი თამაშია, ეს ბავშვებმა ციციცი, მაგრამ შესაძლოა ბევრმა არ იცოდეს, რომ სპორტის ეს სახეობა საქართველოში ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება. ბოლო დროს ეროვნულმა ნაკრებმა ისეთი გამარჯვებებით გაგვახარა, როგორცაც ორი-სამი წლის წინ ვერაფრით წარმოვიდგენდით.

ქართული რაგბის წინსვლა რომ შემთხვევითი არ არის, ამაზე ახალგაზრდების წარმატებებიც მეტყველებს. წელს 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრები რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

ჩვენი სასიამოვნოა ის ამბავიც, რომ ამ წარმატების შემოქმედი და სულისჩამდგმელია მწერალი, ცნობილი პროზაიკოსი და ესეისტი ლადო კილასონია. ინტერვიუსაც ამ თემით ვინწყებთ: რაგები და მწერლობა.

მაშ ასე, გვესაუბრება საქართველოს მორაგბეთა ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლადო კილასონია.

– მწერალი-მორაგბე... საქართველოს ისტორიაში, ვგონებ, პირველი შემთხვევაა, როდესაც მორაგბე მწერალი ხდება. მაინც როგორ დაიწყო ეს ყოველივე, ჯერ ოვალური ბურთი იყო თუ სანერ-კალამი?

– რაგები ბავშობიდან დაიწყო. მამა – დათო კილასონია – ცნობილი მორაგბე იყო, თბილისის „ლოკომოტივის“ და საბჭოთა ნაკრების ცხრა ნომერი და შემდეგ უკვე საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი. რაც თავი მახსოვს, მახსოვს რაგბიც. წერა, მგონი, 23 წლისამ დაიწყო და ეს დედაჩემის, რუსიკო ქიქოძის დამსახურებაა. მთელი ბავშვობა გვიკითხავდა, გვიყვებოდა, გვიხსნიდა წიგნებს! მერე ერთ დღესაც რაღაცა დაწერე და პირველი, რა თქმა უნდა, დედას წავაკითხე, მოეწონა. ეგრე დაიწყო წერა. მოკლედ, ორივე, რაგბიც და წერაც, ჩვენი, ჩემი მშობლებიდან, სახლიდან მოდის.

– რა როლს თამაშობს წარმოსახვა და ინტელექტი რაგბის თამაშში?

– გადამწყვეტს, როგორც ყველგან. კარგ მოთამაშეს სხეული ქმნის, დიდ მოთამაშეს – თავი!

– როგორ გგონიათ, არის თქვენს ლიტერატურულ შემოქმედებაში რაღაც ისეთი, საპეიფიკური, რომელიც რაგბიმ მოგცათ?

– არ ვიცი, ალბათ, ადამიანის სიყვარული. ოღონდ ეს მხოლოდ რაგბიდან არ იქნება. ეს ოჯახიდანაც მოდის და იმ მწერლებიდან, რომლებიც გამორჩევით მიყვარს.

– საინტერესოა, თქვენს წიგნებს კითხულობენ თქვენი აღსაზრდელები, ნაკრების წევრები?

– არ ვიცი, ეს არასოდეს მიკითხავს ჩემი მოთამაშეებისთვის და არც არასოდეს ვკითხავ.

– მე მგონია, რომ კითხულობენ, ჩუმ-ჩუმად მაინც, და ეს თამაშზეც ეტყობათ... მოდი, თავიდან დავიწყოთ, ქრონოლოგიურად მივყვეთ. ჩვენივენი, გულშემატკივრებისთვის, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც საქართველოს ოცნლამდელთა ნაკრებმა 1 ივნისს ავჭალის სტადიონზე ტესტ-მატჩში ინგლისელი თანატოლები დამარცხა აგარიშით 40:38. როგორ მიიღეს ეს სენსაცია უძლეველმა

ჭამიაშვილის მიერ დადებული ლელო: გადაწყვეტ მომენტი შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რაც გვჭირდება. შეგვიძლია ჩვენების ძალა და ოსტატობა შევადართო მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბეების ძალასა და ოსტატობას? ნებულობის, ნებისყოფის, თავდაჯერების საკითხებში როგორ გვაქვს საქმე?

– თებერვალში, შევარდენის სარაგბო ბაზაზე გუნდმა თავისით დაისახა მიზანი – ჯგუფში მინიმუმ ორი თამაშის მოგება! იტალია მეორე მოგების შანსი იყო, ანუ საბოლოო მიზნამდე ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი! ამან პასუხისმგებლობაც გაზარდა და წნეხიც! თუმცა ბიჭებმა კარგად გაართვეს თავი ამ საქმეს! თამაშად შემიძლია თქმა, რომ ეს გუნდი ამ მსოფლიო თასზე არავისზე ნაკლები არ იყო! არც ნებისყოფა აკლდა და არ თავდაჯერება!

– 9 ივლისს უელსთან 21:40. არითმიული თამაში გვექონდა. ალბათ დალილობის ბრალი იყო...

– სპორტში ძალიან ძნელია ორი ერთმანეთზე მაგარი თამაში ითამაშო მიჯრით! სამი ხომ საერთოდ! თან როდესაც დასახულ მიზანს აღწევ, ამოისუნთქავ ხოლმე, ამოსუნთქვას კი შევბასთან ერთად ემოციისგან გა-



ველი მატჩი მასპინძლებთან გქონდათ. ლამის მთელი თამაშის განმავლობაში უგებდით, მაგრამ... ერთი რამ კი არის: ადრე სამხრეთ აფრიკელებთან შეხვედრებისას ის გვიხაროდა, დიდი ანგარიშით თუ არ წავაგებდით, ახლა გული დაგვენდა, რომ ვერ მოუვეთ. რა შემთხვევაში შეიძლებოდა ამ მატჩის მოგება?

– თუკი ისევე ლადავ დავიწყებდით პირველ ტაიმს, როგორც მეორე ტაიმში დავინყვით თამაში, თუკი მე არ დავუშვებდი შეცდომას, როდესაც 65-ე წუთზე შერკინებაში მიწოლას დავთანხმდი და არ გავიზარე ის, რომ მსაჯმა ორი ჯარიმა უკვე მოგვცა შერკინებაში, აფრიკელებს ყვეთელი ბარათით გაუგდო მოთამაშე და ახლა ყველაფერზე გამოგვეკიდებოდა! და თუკი ორი ბურთი არ გამოგვივივარდებოდა ჩვენი რაქიდან და აქედან ორ ლელოს არ მივიღებდი. მოკლედ ჩემი აზრით, სიმშვიდე დაგვაკლდა, ზედმეტი არაფერი ვარგაო, რომ ამბობენ, ეგ პასუხისმგებლობასაც ეხება!

– მეორე ტურში, 29 ივნისს, არგენტინას მოუვეთ 20 : 0. ჩემი აზრით, ამ მატჩში ვაჩვენეთ ის თამაში, რითაც სამხრეთ აფრიკა უნდა დაგვემარცხებინა. მაინც რა იყო ის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც ასეთი შთაბეჭდილი გამარჯვება მოგვაპოვებინა?

– სიმშვიდე! მომართულობა! ამ თამაშში მხოლოდ 5 ჯარიმა ავიღეთ! ეს უმაღლესი მწვერვალია, მსოფლიოს კაცთა საუკეთესო ნაკრებების საუკეთესო თამაშის სტანდარტითაც კი. დისციპლინა აჩვენებს, თუ რამდენად მზადაა გუნდი კონკრეტული თამაშისთვის! ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში, რაც კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უთამაშია და ძალიან ამაყი ვარ, რომ ამ თამაშის ნაწილი ვიყავი! დღეს, ტიერ-1, ანუ მსოფლიოს ელიტარულ ნაკრებს 0-ზე მოუგო, ასეთი რამ ძალიან იშვიათია, უფრო სწორად კი ბოლო წლებში ასეთი რამ არსად შემხვედრია!

– 4 ივლისს, მესამე ტურში, იტალიასთან 30:17 მოვივეთ. აშკარა უპირატესობა გვექონდა. ნიშანდობლივი იყო ბოლო წუთებზე თამაშ

მოცლაც მოჰყვება! ასეთ დროს, ფიზიკურზე მეტად გონება იღლება აი, მთაში ციცაბო უღელტეხილს რომ გადაივლი. ეს ნამდვილად იყო, ოღონდ არც მიდგომას დასტყობია რამე, არც ვარჯიშის ხარისხს და არც დისციპლინას! რაღაცნაირად შეგრძნების დონეზე იყო. ისიც იყო, რომ შემადგენლობა გადავხალისეთ, თუკი ჩვენებურად ვიტყვი – დაფტრიალდით, ოღონდ ეს ფრთხილი ტრიალი იყო! უელსი ძალიან კარგი გუნდი იყო, გამოცდილი სამწვრთნელო ჯგუფი! თუმცა, ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი როლი იმ თამაშში მოედანმა ითამაშა, უელსს უკვე გამართა იქ მატჩი და მიჩვეული იყო იმ ქაობს, რომელზეც ჩვენ პირველად დავედგით ფეხი და მძიმე საფარმა ჩვენი მთავარი იარაღი, აგრესიული კონტაქტი, გააუფრულა, სიჩქარეს ვერ ვკრეფდით და ისე ვერ შევდიოდით კონტაქტში როგორც არგენტინასთან და იტალიასთან! რამაც უელსს დიდი უპირატესობა მისცა!

– 14 ივლისს ახალ ზელანდიასთან 26:50 ნავაგეთ, მაგრამ იყო მომენტი, როდესაც 0:33-დან 26:33-მდე შევამცირეთ ანგარიში, ჩვენი თამაში ვიპოვეთ და, რაც მთავარია, დროს ამ მონაკვეთში თამაშით ვაჯობებ ზელანდიელებს. რა მოხდა იმ დროს, რატომ ვითამაშეთ ასე შედეგიანად და მალევე რატომ დავითმეთ?

– ამას რაგბიში მომენტუმს ეძახიან, თამაში გულის ტეხილივითაა, ხან მეტოქეა მაღლა, ხან კი შენი ჯერი დგება, იშვიათად, რომ გუნდმა საკუთარი მომენტუმი მთელი თამაშის განმავლობაში შეინარჩუნოს! ერთი ტაიმი მინახავს, ორი – არა! ზელანდიის მომენტუმის შემდეგ ჩვენი დადგა და 26 ქულა ავიღეთ! ეს ბევრს არ შეუძლია! 65-ე წუთზე იქაც არის ერთი მომენტი, რომელიც, ჩემი აზრით, თამაშს საჩვენოდ მოატრიალებდა, მაგრამ მსაჯმა სხვანაირად გადაწყვიტა! ვთხოვეთ, ვიდრე მსაჯთან გადაემოწმებინა საკუთარი გადაწყვეტილება მაგრამ უარი გვითხრა ორ სხვადასხვა მომენტზე! და ვფიქრობ, რომ ამან ზელანდიას დაკარგული მომენტუმი დაუბრუნა!

– ახალზელანდიელებით მატჩის წინ ჰაკას არ ვასრულებთ, მაგრამ რასაც ვუყურებ, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულება ბიჭებმა ლამის ჰაკად აქციეს. ჯერ ჩვენს არცერთ ნაკრებს არ უმღერია მშობლიური ქვეყნის ჰიმნი ისე გულიანად, ჟინითა და გატაცებით, როგორც თქვენმა ბიჭებმა იმღერეს სამხრეთ აფრიკაში. რა მოხდა, ჰიმნის შესრულება საფარვეთში პროცესში ხომ არ გქონდათ ჩართული?

– არა, ამას ვერავის ასწავლი, ვერ დავალებ! სიმღერა გულიდან ან მოდის, ან არა! უბრალოდ, არსებობს ისტორია, როგორ მღეროდნენ ჰიმნს წინა ნაკრებები! მაგალითი კი ძალიან დიდი ძალაა! ასევე მწვრთნელები ხშირად ვუსვამთ ხაზს, რომ გუნდს ჰიმნის სიმღერაზევე ეტყობა ხასიათი და ჟინი! სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ბიჭები საკუთარი ქვეყნის ჰიმნს თავისით მღერიან ასე!

– ერთი „არასპორტული“ შეკითხვაც. რატომ იყო სათამაშო მოედნები ასე მოუვლელი, ტალახიანი, მიძიმე? თვით ფინალური მატჩიც კი (საფრანგეთი – ირლანდია) საკმაოდ მძიმე გრუნტიან მოედანზე ჩატარდა.

– სამხრეთ-აფრიკაში ივლისი ზამთარია, ნვიძიანი დრო! ჩვენს ჩასვლამდე მგონი 5 კვირა ნვიძმა გადაუღებლად! არც ჩვენი ჩასვლის შემდეგ დაუტოვია. მთელი ჩემპიონატი კი მხოლოდ ორ მოედანზე ჩატარდა, არადა აფრიკა ერთი დიდი სარაგბო მოედანია! ერთ მოედანს დრენაჟი ჰქონდა, მეორეს – იქ, სადაც აფრიკამ იტალიასთან წააგო, ჩვენ კი უელსთან – არა! ვთხოვეთ, სხვაგან გვათამაშეთო, მაგრამ უარი გვითხრეს!

– თქვენი აზრით, როგორია ამ თაობის პერსპექტივა, მიიღებს მათგან ეროვნული ნაკრები ახალ, მნიშვნელოვან შევსებას?

– რა თქმა უნდა, მიიღებს! ასეთი რამები შემთხვევით არ ხდება, შეიძლება არგენტინასთან გაგმართლოს ან იტალიასთან, მაგრამ ინგლისთან იბლების იმედად ვერ გახვალ! ხშირად არის, რომ ერთად თავმოყრილი ადამიანები დიდხანს იქნებიან ერთად, ივარჯიშებენ, ითამაშებენ, მოიგებენ, წააგებენ, მაგრამ ვერ შეიკვრებიან, ვერ გადაიქცევიან გუნდად! ეს ნაკრები კი ნამდვილად გუნდი იყო! და ძალიან ამაყი ვარ, რომ, ამ გუნდის წევრი ვიყავი!

– 8 სექტემბერს საფრანგეთში დაიწყო და 28 ოქტომბრამდე გაგრძელდება რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველო შეექვსედ მონაწილეობს. ჩვენითვის საინტერესოა რა შეიძლება მოიტანოს ამ ფორუმმა?

– რაგბის მსოფლიო თასი 4-წლიანი ციკლის დასასრულია ხოლმე. ამის შემდეგ თამაში გულშემატკივრებისთვის შეუმჩნეველად, მაგრამ სახეს იცვლის, ვითარდება! რაღაცა ახალს პოულობს! იცვლება ნესები! მაგრამ ახლა ამ მსოფლიო თასისთვის ის, რაც მუშაობს, მეტ-ნაკლებად ყველაზე იცის და, ჩემი აზრით, სწორედ ეს ცოდნა ხდის ამ ჩემპიონატს ასე საინტერესოს! გუნდები ტაქტიკურად და სტრატეგიულად გამართულები არიან! იცინა, მოედნის რომელ ნაწილში როგორ უნდა ითამაშონ! რაგბი არ არის გლობალური სპორტი, მაგრამ ახლა ის ისეთი გლობალურია, როგორიც აქამდე არასოდეს ყოფილა. საქართველომ მსოფლიოს გრანდ აფსტრალიასთან 35-15 წააგო, სამი ლელო ხელიდან გაგვივარდა, ერთი ჩვენი ვაჩუქეთ ვოლაბებს და ამ თამაშს საფრანგეთში 75 ათასი კაცი დაესწრო! ძალიან მაგრად იომა საფრანგეთთან ურუგვაიმ! კარგია ჩილე! პორტუგალია! როგორც ყოველთვის, მაგრები არიან სამოა და ფიჯი! იაპონია! და თუმცაღა გრანდები გრანდებდ რჩებიან, წლევანდელი მსოფლიო თასი ყველაზე თანაბარი მსოფლიო თასია, რაც კი აქამდე ყოფილა და იმედია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია! ჩვენი მიზანი საჯაროდაა გაცხადებული – ჯგუფში ორი თამაშის მოგება, რაც შემდეგ მსოფლიო თასზე ავტომატურად მოგვიპოვებს ადგილს! რთული მისიაა? ძალიან, როდესაც ჯგუფში ავსტრალიასთან ერთად ფიჯი და უელსი გყავს! მაგრამ რეალური! მსოფლიომ ხომ უკვე კარგად იცის, რა შეუძლია ჩვენს ნაკრებებს! დანარჩენს თამაშები გასცემს პასუხს!

ესაუბრა ივანე ამირხანაშვილი

ირაკლი ბრაჭული – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელი. იკვლევს ფილოსოფიური ჰერმენევტიკის, ანთროპოლოგიისა და აზროვნების საკითხებს.

ახლახან გამოიცა მისი ახალი წიგნი „რა არის ფილოსოფია?“.

ქაკლინ სირაძე

მსუბუქი, როგორც რიზი

ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ ნიჭიერ, არაორდინალურ და ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსს – ირაკლი ბრაჭულს, რომელმაც უკვე არაერთი წიგნი გვისახსოვრა. მათ შორისაა უძვირფასესი განძი – „დოსტოვესკის მხატვრული თეოლოგია“, რომელშიც საუბარია დოსტოვესკის იმ ჩანაწერების ირგვლივ, რაც უშუალოდ მწერლის გარდაცვლილი მეთულის ცხედრის პირისპირ დაინერა, და ეს მედიტაცია ტანჯული დოსტოვესკის ხელს თავისდაუნებურად გამოჰყავდა. ასე გაივსო უბის წიგნაკი, რომელსაც ის მთელი ცხოვრება უმაღლავდა არა მარტო კაცობრიობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს. ფილოსოფოსმა ბორის ვიშესლავეცევმა ის ყოველდღიურ ჩანაწერებს შორის შემთხვევით იპოვა, და ძრწოლით ეხებოდა ამ უნაბისფერ ტყავის ყდაში ჩასმულ ძველბურ წიგნაკს, რომელშიც ადამიანის არსების ის დაფარული მხარეა ასახული, მისტიკოსთა, ფილოსოფოსთა თუ ხელოვანთა შედევრთა სტრიქონებს შორის მხოლოდ რომ იგულისხმება, თუმცა ვერა და ვერ დაინერება და, მით უფრო, ვერ განიმარტება.

ეს მცირე პრელუდია ერთგვარი მიწინაშეა, რომ ირაკლი ბრაჭულის ახალი წიგნი „რა არის ფილოსოფია?“ ვერ დარჩება და ვერ იმოძრავეს ტრადიციული აზროვნების ზედაპირზე. ავტორი თავისი ეპოქის სამოსში გამოწყობილი აღჭურვილია და იცნობს თანამედროვე მეცნიერთა ახალ აღმოჩენებს, თუ ახალი ფილოსოფიური პრობლემების კარდინალურ გამოწვევებს, ახალ მხატვრულ ტექსტებს და ამიტომაც ეპოქის ხმის შესაბამისად, მის სტრიქონებს შორის მოაზრება ინგმარ ბერგმანის ფილმიდან „ზიარება“, მის მიერ ასე ხშირად მოხმობილი ფრაზა: „ღმერთი ღუმს, ღმერთი ღუმს“.

ამ წიგნის ტექსტის შიდაპირში იკითხება, დროის თავისებურებისა და ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარზე მინიშნებანი. ფრაზათა და ფრაზებს შორის იკითხება ნიქსის ინტერპრეტაციათა კვალცი, როგორც რუსოს ცნობილი კითხვის: „ისტორია უფრო დეგრადაციის პროცესია თუ წინსვლისა, რომელსაც მიყვარათ ადამიანის სრულ ლიკვიდაციამდე?“ ერთგვარი გაგრძელებაა და რაც მთავარია, მისი ნაწერი დანაღმულია კაცობრიობის ცხოვრების იმ პერიოდის განცდით, რომელშიც წარმოიშობა რალაც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რასაც ეწოდება „ადამიანი“.

წიგნის არაორდინარულობა და ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ცდილობს კატეგორიული ტონით რაიმე განგვიმარტოს, პრეტენზია არა აქვს, რომ სრულყოფილი პასუხი გაცეცეს –



თუ რა არის ფილოსოფია? არა, მასში საუბარია, თუ როგორ მიემართება ფილოსოფოსი სიბრძნის მწყურვალე სიყვარულით სულიერ გზაზე, თუ როგორ წარმართავს ჭეშმარიტების მიძებნელ ფილოსოფოსს ეპოქის შესაბამისად სხვადასხვა მეგზური:

– ხან გაოცება და დაეჭვება; ხან კანონმდებელი გონება, ხან კი ქრისტეს სიტყვა.

ის ნაბიჯ-ნაბიჯ, თამამ-თამამით გვიჩვენებს, რომ არ არის ადვილი იკითხო: – რა არის ფილოსოფია? ვინ არის ფილოსოფოსი? რას გვაზიარებს ფილოსოფია? ან, რა უნდა მოვიმოქმედო, ფილოსოფოსი რომ გავხდეთ? ამ კითხვების მიღმა კი იკითხება მთავარი კითხვა:

– ვინ ვარ მე?

ი. ბროდსკის ცნობილი იდეის (თანამედროვე სამყაროს არსს რომ მიემართება) განმარტებისას იმა კულიმოვა წერდა:

– „არც ერთ რწმენას, არც ერთ იდეას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია მეტაფიზიკური ჰორიზონტის სრულ მომცველობაზე“.

არადა, ოდესღაც ხომ, როგორც ავტორი წერს, დეკარტედან აღისამდე მიაჩნდათ, რომ „შეუძლებელია რამდენიმე სამყაროს არსებობა. თანამედროვე სამყაროს ასახსნელად, მისი სამყაროს შესაღებად ერთი კი არა, უამრავი გასაღები დაგჭირდება, ხოლო ერთი კარის ნაცვლად, უამრავი კარი დაგვხვდება ჩაკეტილი... ამიტომაც თანამედროვე სამყაროს მეტაფორად, ავტორის თანახმად, იქცა ლუის კეროლის ზღაპარი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. ის არა მარტო ბავშვებია და დიდების საკულტო წიგნია, არამედ XXI საუკუნის კოსმოლოგიის, ასტროფიზიკის, ლოგიკისა და ფილოსოფიის ქრესტომათიულ ნიშნადაა ქცეული.

და აი ამ რამოდენიმე სამყაროს, რამდენიმე კარისა და რამდენიმე გასაღების ასახსნელად ირაკლი ბრაჭული შეგვახსენებს, თუ როგორ ხდება აღისა პარალელურ სამყაროებში, სადაც სულ სხვადასხვანაირად იკუმშებიან და ფართოვდებიან სიდიდეები.

დიდება და პატარებმაც უკვე ვიცით, რომ სამყარო არ ყოფილა ფოლადის გალიასავით ერთ სისტემაში ჩაკეტილი, როგორც განგვიმარტავს ავტორი. ეს ადრეულ საუკუნეებში ეგონათ და თანამედროვე მეცნიერთა ახალი აღმოჩენები რომ დაგვიხატოს, ის წერს:

„ის უფრო შესაძლო სამყაროებზე, ანტიმატერიებზე, შავ ხვრელებზე, სინგულარობებზე ფრაგმენტირებული აღმოჩნდა. ამ ფრაგმენტებს შორის გაუზომვად კავშირებს უწოდებს „ალისას კოსმიური სიმები“ (გვ. 8).

ამ უჩვეულო წიგნში ავტორი დიდი გემოვნებითა და ფართო ერუდიციის მეშვეობით ახერხებს სრულიად განსხვავებული ფილოსოფიური აზროვნება,

მხატვრული ლიტერატურა, თუ წმინდა წიგნები ისე და ისე ჩააბრუნოს ერთიანობის იმ იდეალურებაში, სინათლის იმ ერთ სხივში, რომლის წყალობით ლიტერატურა, ფილოსოფია და რელიგია, როგორც მოსიყვარულე, ერთნაირი იდეით განმსჭვალული მეგობრები, შეთანხმებულად ერთ გზას მიუყვებიან.

ჩვენ ერთდროულად ვკითხულობთ ამ სინათლის სხივში მოქცეულ ვეფხისტყაოსანსა და ბიბლიას. ორივე ხომ ერთნაირად იწყება: „რომელმან შექმნა სამყარო“ და ერთნაირად მთავრდება: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა“. ამ ერთიანობის დასადასტურებლად ავტორი იხსენებს, რომ სიტყვა – „ღმერთი“ პოემაში 700-ჯერ არის ნახსენები – რითაც კიდევ ერთხელ გვეცნობება, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა თეოლოგიის არა მარტო მსახური, მისი განუყრელი მეგობარია. ირაკლი ბრაჭული არ ივინყებს ქართული ენის სიღრმეში განთავსებულ, ქართული გენიის სიბრძნეს გვაზიაროს: სიტყვა – „ღმერთი“ – ორი ფუძე-სიტყვისგან შედგება: ღრმა + ერთი. მაშასადამე, ყველაფრის სიღრმეში, საძირკველში მყოფმა ერთმა, ბიბლიის მიხედვით არაფრიდან (ლათ. ex nihilo) შექმნა სამყარო. მაგრამ ეს „არაფერი“ რაღაა? კითხულობს ბავშვური გულუბრყვილობით ავტორი და ბუნებრივი თხრობით ჰეგელის ფილოსოფიის შრეებს გვაზიარებს, გვატყობინებს, რომ გერმანელი ფილოსოფოსისთვის სრული ყოფნა და სრული არყოფნა, წმინდა სინათლე და წმინდა სიბნელე თავიანთ უშუალობასა და უხილველობაში ერთმანეთს ემთხვევა. არსი და არარა ჰეგელამდე დიდი ხნით ადრე, იგივე მარტივად გამოთქვა ძველი ჩინეთის ბრძენმა ლაო-ძიმ (ძვ.წ.აღ. VI ს.): ნათელი და ბნელი – ინი და იანი ურთიერთგადაწონვაში ქმნიან კოსმიურ პროცესს და აქ უნებურად გალაკტიონის სტრიქონები ჩნდება:

წმინდა ნათელიში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სინყვედიადში.

ვერ ვიოკებ აღფრთოვანებას, რასაც ამ წიგნის კითხვის გზა გვთავაზობს. თითქოს ბავშვი, თუ ახალგაზრდა სულ თამამ-თამამით, ასკინკლათი მიხტის და ეცნობა ურთულეს საკითხებს, თუ მასზე მსჯელობას. ფეხბურთი ინგლისში გამოიგონეს, მაგრამ ჩვენშიაც შეიყვარეს. ასე იწყებს საუბარს ირაკლი ბრაჭული ქართულ ფილოსოფიაზე. თუმცა კლასიკური ფილოსოფია ძველმა ბერძენებმა, ახალ დროში კი ის უკვე გერმანელებმა შექმნეს, და თუ ბერძენებმა ობიექტის, გერმანელებმა სუბიექტის ფილოსოფია შექმნეს.

ხოლო რაც შეეხება ქართულ ფილოსოფიას – ფეხბურთის სიყვარულისა და მისი გათავისუფლისა არ იყოს, ძველი ბერძნული ფილოსოფიის ქართული გამოძახილია იოანე პეტრიწი (XI ს.); ახალი გერმანელი ფილოსოფიისა მერაბ მამარდაშვილი.

ირაკლი ბრაჭულის განმარტებები უნიკალურია, როცა თავის მკითხველს მიანიშნებს, რომ ფილოსოფიურად განგვაწყობს ქართული ლიტერატურა, ჩვენი სასულიერო და საერო პოეზია.

მნიშვნელოვანია ასევე მისი თხრობის მანერა, ყოველგვარი მკვეხარობისა, ან გაზვიადებული შეძახილებისგან დაცლილი თხრობა. ის მხოლოდ და მხოლოდ ფაქტის მოხმობით შემოიფარგლება, რომ შემორჩენილია ლიბანიოსისა და თემისტოლის ნერილები (IV ს.) საიდანაც ვიგებთ, რომ კოლხეთში ფაზისის შესართავთან არსებულ სკოლაში შეიძლებოდა უკეთესი განათლების მიღება ფილოსოფიაში, ვიდრე თვითონ ათენში.

წიგნში ასევე უფრო დაწვრილებით, სიღრმისეულად მოთხრობილია, თუ რო-

გორ გაიხსნა გელათში დავით აღმაშენებლის თაოსნობით გელათის აკადემია. ამისთვის მან მოიწვია ბიზანტიაში მოღვაწე იოანე პეტრიწი (XI-XII სს.). გელათი იყო ის ცენტრი, სადაც განხორციელდა მთელი ეპოქის იდეალი, ბიბლიური სიბრძნე დაუკავშირდა, შეუერთდა ანტიკურ, წარმართულ სიბრძნეს. წიგნში დაწვრილებითაა მოთხრობილი თუ რა საგნები ისწავლებოდა აკადემიაში, რა წიგნები ითარგმნა და ა.შ. და ა.შ. წიგნში საუბარია ასევე იმ წყვეტაზე – იმ ტრაგედიაზე, რაც საქართველოს ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობეს – გელათის აკადემიის გაუქმების შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ 1918 წელს აღსდგა სახელმწიფო დამოუკიდებლობასთან, ეკლესიის ავტოკეფალიასთან ერთად საუნივერსიტეტო განათლება.

ყველაზე მომხიბლავი ამ წიგნში „რა არის ფილოსოფია?“ ავტორის თხრობის ის სიმსუბუქეა, რომელიც მკითხველს სრულიად ძალდაუტანებლად განუმარტავს ისეთ რთულ საკითხს, როგორცაა ვინ არის ფილოსოფოსი?

ამისთვის ის იხსენებს თითქმის გახალხურებულ პლატონის „სახელმწიფოს“ VII თავს, რომელშიც საუბარია ბნელ გამოქვაბულში მოხინაღრე ბრმა და ბორკილდადებულ ტუსალებზე. ისინი ხომ ზურგმუქეულნი არიან მზის სინათლისკენ, ამიტომაც სამყაროს საგნებს მხოლოდ და მხოლოდ გამოქვაბულის კედელზე მოთამაშე, მორიალე ჩრდილებით ეცნობიან, რაც მათთვის საგანთა ჭეშმარიტ სახედ აღიქმება, მაგრამ ძალიან იშვიათად, ამ ტუსალთაგან ზოგიერთი მანაც ახერხებს, თავი დააღწიოს გამოქვაბულს და ასე იხილოს მზის შუქზე განფენილი ნამდვილ საგანთა ჭეშმარიტი სახე. ჭეშმარიტი ფილოსოფოსი ის არის, ვისაც დაუძლეველი სურვილი გააჩნია, სხვებსაც გაუზიაროს თავისი გამოცდილება. და ის ბრუნდება გამოქვაბულში, ბრმა და ბორკილდადებულ ტუსალებთან, რათა აჩვენოს მათ საგანთა ჭეშმარიტი სახე.

ყველაზე მთავარი გამოცდილება ფილოსოფოსისთვის საკუთარი თავის მოძიებაა, მისი პირველი ნაბიჯი, სატუსალოდან თავდალწევაში მდგომარეობს (და როგორც არაერთი ფილოსოფოსი განმარტავს, ამ დროს ის „სიკვდილში ვარჯიშობს“ და ასე უახლოვდება თავის თავს) – რის შემდგომ ის მზის შუქზე ნამდვილ საგანთა ჭეშმარიტი სახის ხილვას ახერხებს.

ირაკლი ბრაჭული დამწყებ ფილოსოფოსებს მიმართავს, რომ ისინი მზაობას უნდა იჩვენდნენ ათენისა და იერუსალიმის მიმართ, რომ ფილოსოფოსმა ორივე ქალაქს უნდა „თვალი გაუსწოროს და ორივეს მოუსმინოს“.

პოლ ვალერი ხატ-სახით ახერხებს, ლაპიდარულად განმარტოს კითხვისა თუ სათქმელის „უნონადობა“ თუ „წონადობა“, როცა წერს: „მსუბუქი უნდა იყო, როგორც ჩიტი, და არა როგორც ბუმბული“. წონად სათქმელში – „მსუბუქი, როგორც ჩიტი“ – მუდამ იკითხება პიროვნების მღვიძარე პროცესი – განცვიფრება, ძრწოლა, ცნობისმოყვარეობა... ის, რაც ფილოსოფოსის ძიების გზაზე გამოყვანს. ავტორი დამწყები ფილოსოფოსის ორ წყაროზე მიანიშნებს, რასაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებით განმარტავს:

„არც მთლად უნიგნურობა ვარგა და არც სულ წიგნებიდან ყურება“.

ადამიანში უნდა აღიძრას ცოდნის ის მწყურვალეობა, რაც ფილოსოფოსს აზროვნების ბილიკზე „არბენინებს“.

გერმანელ მწერალს ჰერმან ჰესესს, როცა აზროვნების სირთულეზე სურდა მინიშნება, უყვარდა მოეხმო ის სიბრძნე, რომლის თანახმად ცურვა რომ ისწავლოს, წყალში უნდა გადახტეს.

ირაკლი ბრაჭული ამ წიგნით ცდილობს წყალში გადაახტუნოს მკითხველი.

1 როგორ გადაარჩინა ანყურის ღვთისმშობელმა ერთი ჩემი უსაყვარლესი ლექსი

ნიგნის გვერდს არა უშავს, მაგრამ ვიცი, საილუსტრაციოდ შერჩეული მეორე ფოტო არ ვარ-გა, ყოვლად უხარისხოა. მაგრამ ამ ფოტოში არ არის საქმე. სულ რომ არ იყოს აქ, არაფერი დაშავდებოდა.

შეიძლება, სხვა სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ, ჩემი აზრით, „მეორედ მოსვლა“ ჩემი ყველაზე პოპულარული ლექსია. იმ ჩემს „წერილზე“ უფრო პოპულარული. უკეთესი ხომ მით უმეტეს.

მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა ეს ლექსი პირველად წავიკითხე უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეზე. მას მერე დამოგზავნა უნივერსიტეტის ხელისუფლებამ, ბლოკნოტიდან ბლოკნოტში. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი – ახალგაზრდა პოეტებთან რაიმე შეხვედრა იქნებოდა თუ მეგობრული სუფრა, სანამ ამ ლექსს არ წავიკითხავდი, არ მეშვებოდნენ.

დაბეჭდვა კი, ნურას უკაცრავად. საერთოდ დაბეჭდვა მაშინ არ-ნახულად ძნელი იყო, მით უმეტეს, ისეთი ლექსებისა, სადაც ღმერთი და ხატი ან ქრისტე იყო ნახსენები. თანაც არც მე გამოვიჩრქოდი დაბეჭდვისადმი დიდი ინტერესით. თუმცა ეს ლექსი, ყველგან არის ნამყოფი, სადაც მაშინ ლექსები იბეჭდებოდა, არაერთგზის არის მოწონებულიც, მაგრამ მაინც – მუდამ კატეგორიულად იყო გამოზღუდული.

ამასობაში უნივერსიტეტის ხელოვნების მეორადი ფაკულტეტი დაამთავრე და სადილომომო წამუშევრად ჩემი ლექსების ილუსტრაციები გავაკეთე. მათ შორის ერთი კოლაჟი „მეორედ მოსვლას“ მიეძღვნა. და ამ უხარისხო ფოტოს მარჯვენა მხარეს სწორედ ის არის აღბეჭდილი. მერე ილუსტრაციების სერია საუნივერსიტეტო გამოფენაზეც გავიტანე და ეს ლექსი კიდევ უფრო პოპულარული გახდა. მაგრამ, რად გინდა, გამოქვეყნებას ვერა და ვერ ეღიარა.

„მეორედ მოსვლა“ დანერგადან 10 წლის შემდეგ დამიბეჭდეს ისევ უნივერსიტეტის „პირველ სხივში“, მაშინ მისსავით პოპულარულ „წერილთან“ და „პარიზის მონატრებასთან“ ერთად. ტარიელ კვანჭილაშვილმა და ნია აბესაძემ მონდომებითა და ძალისხმევით. ახსოვდათ ნინა ნომრებში რომ ვერ მოახერხეს დაბეჭდვა, თორემ მე მაშინ „პირველ სხივთან“ უკვე აღარაფერი მაკავშირებდა – უნივერსიტეტში აღარც ვსწავლობდი და აღარც ვმუშაობდი – მეზღვურად ვიყავი გავარდნილი და ცოტა ხნით ვიყავი ჩამოსული თბილისში. 1983 წელი იდგა.

სწორედ იმ წელს ჩემი პირველი ნიგნი უნდა გამოსულიყო, მაგრამ არაო, ამას ვერ დავეჭვადეთო, „მეორედ მოსვლაზე“ მითხრეს. უკვე დაბეჭდილია-მეთქი. ზო, მაგრამ უნივერსიტეტის აღმანახი სხვა რამეა და ნიგნი სხვა რამე! მოკლედ, იყო ერთი განევე-გამონევა და ბოლოს, ერთმა კეთილმა კაცმა მიჩნია, რამე ისეთი ქვესათაური მოუფიქრე, ვითომ შორეულ ან სხვის ამბავზე წერდეთო. მაინც რა-მეთქი. რა ვიცი, ან „ფრესკის მონოლოგი“ ან „წარწერა ნიგნზე“ ან რაღაც ასეთი... რჩევა ჭკუაში დამიჯდა და ამ ხერხით მხოლოდ ეს კი არა, სხვა საკამათო ლექსებიც გადავარჩინე იმავე კრებულში.

„მეორედ მოსვლას“ კი ასეთი ქვესათაური წავუძღვარე: „ფიქრები ანყურის ღვთისმშობლის წინ“. „პირველი სხივის“ პუბლიკაციისაგან განსხვავებით, ასეა იგი

იცოდა, როგორ არ იცოდა, რომ ამ ლექსთან უშუალო კავშირი აქ ჰქონია და ალბათ არც გაუკვირდებოდა. ასე იყო თუ ისე, ანყურის ღვთისმშობელმა ჩემი ასეთი

ბლის ხატები 28 აგვისტოს განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანია ქართველ მართლმადიდებელთათვის. 28 აგვისტო მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულია –



ანყურის ღვთისმშობელი ათონს მიეგზავრა ფიხისგზის კუბლიკაციის გაქდური ვერსია პაატა ნასვლიშვილი

დაბეჭდილი იმ კრებულში. თანაც მეტი საიმედოობისთვის „ანყურის ღვთისმშობელი“ უკვე უჩემოდ ჩაუსვამთ ნიხსკლებში, ვითომ ხელოვნების ნიმუშზეა ლაპარაკი და არა ღვთისმშობელზე. ნიგნი უკვე დაბეჭდილი იყო, ეს რომ შევამჩნიე. მერე ერთი-ორჯერ დაკვირვებულმა მკითხველებმა მკითხეს კიდევ, რატომ მაინცდამაინც ანყურის ღვთისმშობელი. მუდამ ვისხლიტავდი ამ კითხვას. არც ახლა ვიცი, რატომ მაინცდამაინც ანყურის ღვთისმშობელი. კი მექნებოდა ოდესღაც ნანახი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მაგრამ მისი ისტორია ან არ ვიცი, ან აღარ მახსოვდა. თურმე ღვთისმშობლის პირველი ხატი ყოფილა საქართველოში. მე კი უბრალოდ, ქართული ხატების ნიგნში ვეძებდი შესაფერის ხატს და ეს მომეჩონა. შეიძლება სულაც იმიტომ, რომ არ იყო ისეთი სახელგანთქმული, როგორც ხახულის ღვთისმშობელი. შეიძლება ჩემი ეს ლექსი ერთადერთია, სადაც იგი თუნდაც ქვესათაურად არის ნახსენები.

უმადურობა, როგორც ჩანს, არ შეიმჩნია. არადა, თურმე რას მიმზადებდა... რა ვიცი, რას ნარმოვიდგენდი. მე რომ ჩემდამი მისი ასეთი კეთილგანწყობა, ასეთი შემწყნარებლობა და ასეთი ნდობა დროულად მცოდნოდა და დამენახა, როცა იმ პირველი პუბლიკაციიდან ქართული ხატების სამი მარკის გაკეთება დამავალეს ქრისტიანობის 2000 წლისთავის აღსანიშნავად, ნილკნის ღვთისმშობელს კი არა, სწორედ ანყურის ღვთისმშობელს ავარჩევიდი მარკაზე დასატანად. სამი მარკა იყო და ერთზე მაცხოვარი შევარჩიე ალავერდიანს, მეორეზე – წმინდა ნინო შიომღვიმიდან და მესამეზე – ღვთისმშობელი ყრმით ნილკნიდან. არაფერს არაფერი დაუვალეობა, არც ურჩევია, მე თავად ავარჩიე ეს გამოსახულებანი სამარკოდ. მაგრამ არც ეს არის ახლა მთავარი.

ღვთისმშობლის მიძინების დღე – და იმიტომ. 28 აგვისტოც აღარ არის შორს. დარჩით ჩვენთან, როგორც იტყოდნენ ასეთ დროს ჩემი ტელეკოლეგები. 2023-08-25

2 ჰოდა, როგორ ანყურის ღვთისმშობელმა თავისი ასლის მცველად

ჰოდა, საქართველოს უმნიშვნელოვანეს სიმნიშვნელოვან ხახულის ღვთისმშობელი კი არის ყველაზე ცნობილი ქართული ხატი, და წმინდა მხატვრული თვალსაზრისით ალბათ სრულიად სამართლიანადაც, მაგრამ ანყურის ღვთისმშობლის ისტორია, მისი შექმნა და მისი თავგადასავალი სრულიად განსაკუთრებულია. ამ მხრივ მათ მხოლოდ პორტატივის თუ შეედრება, ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი, გაბრიელმა რომ გამოიტანა ზღვიდან და დღეს ივირონის კარიბჭეში რომ არის დავანებული ათონის წმინდა მთაზე. ათონის მთა ხომ, საქართველოსი არ იყოს, ღვთისმშობლის ნილხვედრია, სწორედ ღვთისმშობელი ითვლება მთაწმინდის ზეციურ მფარველად.

ჰოდა, ძალიან ბევრი წლის წინათ ღვთისმშობელი ეპისკოპოს ლაზარეს სანახავად გამგზავრებულა კვიპროსზე გემით. ეს სწორედ ის ლაზარეა, თავის დროზე ოთხი დღის მკვდარი რომ აღადგინა ქრისტემ. მგზავრობისას ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი ამოვარდნილა, გემს გეზი უცვლია და ათონს მიდგომია, სწორედ ივირონის მხარეს. მაშინ იყო, რომ ღვთისმშობელი ისე მოხიბლულა იქაურობით, ქრისტეს ათონის მთა სამემკვიდრეოდ გამოსთხოვა: „დაე, ეს ადგილი გახდეს ჩემი ნილხვედრი, დაე ღვთის მადლი იყოს ამ ადგილსა და მასზე რწმენით დამკვიდრებულთა და ჩემი ძის მცნებათა აღმასრულებელთა ზედა“.

ქუჩის შანიძე



სიზმარი

ვნახე,
ლუოდა ნითლად
ყვავილიანი ველი,
აფრქვევდა ირგვლივ სიო
თბილი ალიზის სურნელს,

ვარსკვლავთგალობისთვის

ისევ გალობენ ვარსკვლავები, ისევ მღერიან,
სინყვლიადეში მოგონებებს ანთებენ კვარად,

ისევ მღერიან ვარსკვლავები, გალობენ წყნარად,
მზის სალამურებს აკვნესებენ მწყემსების დარად,

სერავენ სივრცეს ნიღბებიანს და დიდ თეატრში
ყველა ვარსკვლავი მზეს თამაშობს, მხოლოდ მზით ხარობს,

მოედინება სიბნელიდან, ნათელ დინებად,
ვარსკვლავთგალობა ლას—ის ჩქერად, სოლ—ების ლავად,

მოედინება სიბნელიდან, ნათელ დინებად,
როგორც არავგი, როგორც მტკვარი, როგორც ენგური,

სხვა მოგონებებს რად მიღვიძებს, სადღაც სხვა მხარე,
იქ, სად ვარსკვლავთა სინდფელეა და სიმქუხარე,

ისევ მღერიან ვარსკვლავები, გალობენ წყნარად,
მზის სალამურებს აკვნესებენ მწყემსების დარად,

საკოი ყოცისთვის

„რისთვის არიან საჭირო პოეტები არშემდგარ დროში“
პოლდერლინი

დადასმულია ეს ეპოქა გონის სიბნელით,
და გულიც ხრჩოლავს სიბნელის დალით,

დახლადქცეული
კაცობრიობავ,
რით გამოკვებავ გაძვალეულ,

რა საჭიროა პოეზია არშემდგარ დროში...

მთვარის ჯურღმულეებში
ჩაკარგული ყმულია ჩვენი სიტყვები...
მწუხარებათა ძეგლებია ჩვენი ლექსები...

რა საჭიროა პოეზია არშემდგარ დროში...

არ შემდგარია დრო ყველა დროში,
სულ ერთნაირად მსრბოლავია ლუნი და კენტი,

ცას მიაწვდინონ, რადგან ცაში ახლა ღმერთია,
რომელმაც ივნო და რომელმაც მაცნობა, ვინ ვარ,

რა საჭიროა პოეზია არშემდგარ დროში...

მაგრამ, შეხედე, აქ მინაზე ხდება სხვაგვარად,
ჩახედე უფსკრულს, შავ უფსკრულებს
ჩაჰყეფე თვალი,

რა საჭიროა პოეზია არშემდგარ დროში...

მარადიულია „ფაკუნდოს“ კითხვა:
„ბარბაროსობა თუ ცივილიზაცია?“
კულტურა თუ გამოქვაბული?

არშემდგარია დრო ყოველ დროში,
მიედინება ზათქით, ნგრევით, აურზაურით,

ვნახე ამ დილით, მზე შემოდგა კარჩხალის თავზე
და მზეკაბანი გადაჰფინა დათოვლილ მინდვრებს...

ბრმისთვის

შენი სიმართლე შემეხარბა მე, ზუხაირა,
ბედისწერა რომ ბრმა აქლემს შეადარე...
ბრმა სიბრმავით მეტია თვალხილულზე...

საკრის ანაჩყოებისთვის

1. (პესიმისტური ძალიან, ლექსი)

გაფრინდება ჭრელი ჩიტი
შავი ჩიტის ბუდისაკენ...
გული ჩემი მიაშიტი...
და ა ცხოვრების მრუდე სარკე...
სულ აღმართის სევდა მჭირდა,

2. (ოპტიმისტური ძალიან, ლექსი)

გ ა ფ რ ი ნ დ ე ბ ა ჭრელი ჩიტი,
ჭრელი ჩიტის ბუდისაკენ
გული ჩ ე მ ი, მიაშიტი,
შეფოფ ი ნ ე ბ ს ზეცის სარკმელს.

ჭრელ ლ ე ქ ს ე ბ ი ს ჭრელი მართვე,
გული ჩ ე მ ი, მიაშიტი,
ბრმად ი პ ო ვ ი ს ზეცის სარკმელს.

მზის სილამაზემ მიმიზიდა,
ახლოს მივედი...
როგორ ღმუოდნენ
გულდამწვარი
ციცხლის ქარები.

ბიბინებს ველი,
ვარდს უთქმელი
სევდა ანაზებს,
ბრწყინავს ცისთვალა,
ცისფერთვალთა სილამაზეთი...

საშემოცემო საკითხობო

აჰა, ეს სიტყვებიც ფოთლებივით
მცვივა გულიდან და თვალებიდან,
მე და შემოდგომა ლოთები ვართ,

წვიმის განწყობისთვის

ახლა გარეთ ვარ და ვსუნთქავ წვიმას,
წვიმის სურნელით მეცხება ყელი,
გადამიარეს მხრებზე ღრუბლებმა,

მერი დისამიჯია-ჯავლიძე

სიხინათელა და
კეკელა

დოკუმენტური ნოველა

ცოტა ხნის წინ გაზეთ „საქართველოს რეპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მსუხარებით იუწყებოდა, რომ გარდაიცვალა ქართული სიტყვის დიდოსტატი, გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, დამსახურებული ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი. სწორედ იმ გაზეთის ფურცლებიდან, საიდანაც ეს სამსუხარო მოკლე ინფორმაცია გავრცელდა, ბატონმა გურამმა მთელი თავისი შეგნებული შინაარსიანი ცხოვრება მიუძღვნა და უერთგულად საყვარელ გაზეთს, რომელსაც დღეს „საქართველოს რესპუბლიკა“ ჰქვია. რა დროული და ზუსტი იყო მასზე ნათქვამი „გადმოწვების“ და ეს სასაუბრო სიტყვა პირველად გავიგე და არც გამკვირვებია გაზეთის მთავარი რედაქტორის სპარტაკ ქობულაძის და რედაქტორის პირველი მოადგილის მამუკა ვაშაკიძის ძალისხმევა მისი შეფასებისას, რაც პირადად გამოვცადე ჩემი ოჯახის ტრადიციის დროს, როცა სამი წელია პრესის ფურცლებიდან არ ჩამოსულა ერთსადიამავე დღეს გარდაცვლილი ჟურნალისტების, მამა-შვილის, ნოდარ და ლაშა ჯაველიძეების გვარ-სახელი და ეს ხომ ამ ორი დიდი ჟურნალისტის დამსახურება და გულისხმიერებაა. ნოდარ ჯაველიძე მრავალი ათეული წელი მოღვაწეობდა ბატონ გურამთან ერთად და როცა იგი გარდაიცვალა, ბატონ გურამს უთქვამს, როგორ შეიძლება, როგორ შევძლო, ცხადში ვიხილო შემზარავი ტრაგედია... მართლაც მან ვერ შეძლო და იქნებ, გრძნობდა, რომ თავზე დიდი დამოკლეს მახვილი ეკიდა. იქნებ, სიზმარშიც ნახა უსაყვარლესი ქალიშვილის გარდაცვალება და მას ზღაპარში ნაკითხული ეგონა?

არ შემიძლია არ გავიხსენო ის განსაკუთრებული დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. სწორედ იმ 14 აგვისტოს, როცა ლაშკოს სიურპრიზი მოუწვევით, ზარ-ზეიმით მივულოცეთ ლამაზი იუბილე და სწორედ განვლილი 14 აგვისტოები შემორჩა ჩემს მეხსიერებას. წვეულებაზე მაშინ ჩვენთან იმყოფებოდნენ ნოდარის მეგობრები, კოლეგები, ჟურნალისტები, მწერლები: შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, თამაზ ნივნივაძე, ჯუმბერ თითმერია, ვაჟა აზარაშვილი, ზაურ გომართელი, მინდია უგრეხელიძე, კოტე მახარაძე, ვილენ მარდალაშვილი, ჩემი „ჭუტალა“ – ნანული ბარათაშვილი, ქართული ქალაქური სიმღერების ლეგენდა ქალბატონი თამარ იმხნელი, სუფრის თამადა განუყოფელი ელიზბარ ჯაველიძე. იმ დღეს პირველად გავიცანი ბატონი გურამ გოგიაშვილი, რომელმაც დღეს კიდევ ერთხელ შემახსენა, ჩემი მწარე და ტკბილი ნარსული ასე საამოდ რომ მომეგონებინა. რადგან ყოველთვის არ გაქვს ბედნიერება, ასეთ კორიფეებს, კოლორიტებს პირისპირ შეხედე და მით უფრო, ყოველივე ჩემი ლაშკოს დაბადების დღეს რომ უკავშირდებოდა.

P.S. ახლა კი ჩემო ერთგულ და მონატრებულ მკითხველო, არ მოგატყუოთ ნოველის სათაურმა და არ ჩათვალოთ, რომ ყოველივე ერთი მეოცნებე ბავშვის მიერ არის დაწერილი სხვა მეოცნებე ბავშვებზე. არა მეგობრებო! ეს გახლავთ ბატონი მსაფირი დრამატული ნანარმოები და თუ მზად ხართ ჩემთან შესახვედრად, ნაკითხეთ ბოლომდე. მე თქვენ 3 წლის წინ დაგემშვიდობეთ, თუმცა დაგპირდით, რომ თავს მაინც შეგახსენებდით ხანდახან და დადგა ეს დროც. ახლა ჩემს უმძიმეს დღეებში როცა დადგება მისი დაბადების დღე, გადავწყვიტე, ეს ჩემი ნოველა მას მიუძღვნა და მიიღოს „მოლოცვად“, სხვას ვერაფერს ვეტყვი.

დაიხ! ეს მოთხრობა თუ ე.წ. ნოველა დატვირთულია ფანტასმაგორიებით, ალევორიებით, ეპითეტებით, გამოხატული სულის ერთი ამოქმითი და ჩემი ბედისწერით...

კიდევ ერთხელ გამახსენდა ჩემთვის და ყველასთვის კარგად ნაცნობი გენიალური მწერლისა და კლასიკოსის, ცვაიგის ნოველის სათაური: „24 საათის ამბავი ქალის ცხოვრებიდან“, რომელიც მართლა ერთ ლამაზი დანერა მწერალმა, თუმცა, შინაარსობრივად ამ ნანარმოებს არანაირი კავშირი არ აქვს ჩემ ცხოვრებასთან, ჩემს მოთხრობასთან, მხოლოდ სათაური.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. დღე-ღამეანთევი ჩემს „სენაკ-სამყოფელში“ მონყვევით დავეყვი სავარძელში დაღლილი, დაქანცული, ძალა-გამოლეული, იმედით შეყვრებდი პატარა კანდელს და წმინდა სანთლებს, გამუდმებით რომ ანთია და არასდროს ჩამქრალან. არც ის გამოშპარვია – ორი ლარნაკი, ამჯერად წითელი მისაკებით გადავსებულნი და გამომწვევი მზერით ფორტეპიანოსთან ვილაყას რომ ელოდებიან... ნეტავი ვის? ციციანათელას? იმ პატარა ბიჭუნას, წლების წინ სწორედ ამ ადგილას

გულუბრყვილოდ, რომ ამღერდა: „ჩემო ციციანათელა, რად დაფრენ წელა-წელა...“ დაასრულა, მოსხლტა და გაიქცა... სწორედ იმ ასაკში (4-5 წლის) ვასწავლე ორი სიმღერა: „ჩემო ციციანათელავ“ და „ჭრელო პეპელა“. ის მთელი სიზუსტით მღეროდა მაშინ და მარტო დედას არ დაავიწყდება ის განუმეორებელი ბავშვური ხმა, მაგნიტებით რომ მიგიზიდავს და... რომელიც არასოდეს განმეორდება. ამიტომაც ჰქვია ამ დოკუმენტურ მასალას ის, რაც სათაურში გამოვიტანე...

მოგონებები და ფიქრები ერთმანეთში ირევა და არასოდეს მანებებენ თავს. სრულიად განმარტოებულთან ის ლამე იყო ვისთვის შავი და ვისთვის თეთრი ლამე... გარეთ გაზაფხულისთვის დამახასიათებელი მოკრძალებული ნემის წვეთები ეცემოდა აივანზე.

ვგრძნობდი, გაყვითლებული შემოდგომის ფოთლებით რა უმისამართოდ მიფრინავდნენ ჩემი ოცნებები, მიფრინავდნენ შორს ისე, როგორც ნეროების გუნდები და რომლებზეც ამბობდნენ: „ალარ დაბრუნდებიანო“ ვინ იცის?... ვერ გავუძელი ცდუნებას, სწრაფად შემოვვარდი ოთახში და ლოცვათა კრებულებებიდან ის პატარა, ლამაზი წიგნი ამოვარჩიე, რომლის ყავისფერ ყდაზე ჩემი „ოქროს ბიჭუნას“ – ჩემი შვილის – ლამაზ თითის ანაბეჭდები იყო გამოსახული მუდმივად, რომ ხელში ეჭირა და ლოცვებსაც ამ წიგნით ალასრულებდა. სწორედ ლოცვათა ეს კრებული, კარგად შეფუთული ვიპოვეთ მის გულისჯიბეში, როცა იგი სტამბოლში გადაგვყავდა უმძიმესი „მანიპულაციები“ ჩასატარებლად. საუბედუროდ, უკანასკნელად, რადგან ძალიან, ძალიან დავაგვიანეთ, მეორედ მცდელობა მის გადასარჩენად... ახლა მე ვკითხულობ ჩემთვის რელიკვიადქვეულ ამ სიღრმისეულ, ქრისტიანულ ნაშრომს, ვკითხულობ ისე, როგორც ის ნაკითხავდა, უსიტყვოდ, ჩუმად... ვკითხულობ, ვლოცულობ იმას, რაც მან ვერ მოასწრო და ვერ დაასრულა.

გარინდული, გაყინული ოთახში დავბრუნდი და უაზრო სიარული დავიწყე, არ ვიცოდი, რა მექნა... უცებ კარი გაიღო: კიდევ არ გძინავს? მითხრა და გაქრა... ო! ღმერთო ჩემო! ეს დაუეწყარი ხმა ისედაც ხომ ყოველდღე მესმის, მხოლოდ სიზმრებში, ახლა კი ყველაფერი ცხადში მესმოდა. მეჩვენებოდა, რომ „ის“ ჩემ წინ იდგა და მევედრებოდა: „დედა! ნუ ტირი, მე მასწავლებელის შენი ცრემლები, ველარ გავუძლებ ცდუნებას, დამავიწყდება ვარდებიც“. „ჩემი ოქროს ბიჭუნა, ჩემი ციციანათელა“ გაბზარული ხმით მეჩურჩულებოდა: ეს მე ვარ, მე... არც მე დაავიხიე და თითქოს „წმინდის მოგებით“ ვიყვირე: „და თუ მე მაინც ვიტირებ, ნუ გაცხარდები ბრახითა, ეული, მარტოდ შთენილი, დედა-შვილობის ნატვრითა!..“ „ის“ მიიმალა... მის მოსაძებნად გავიქეცი იმ საძინებელ ოთახში, სადაც თურმე მისივე ხელით მისი ცხოვრების ხანმოკლე ისტორია ინერებოდა. ინერებოდა, ინერებოდა ნლების განმავლობაში და მე ეს ისტორია, საუბედუროდ, მისი გარდაცვალების მერე ნაკითხე. ხოლო რაც სიცოცხლეში გამაცნო კომპიუტერში, ტელეფონში ჩანაწერები, სრულიად საკმარისი იყო, სულით-ხორცადვე გავანდგურებულყავი ჩემი ამქვეყნიური ზმანებებით, ვნებებით და სრულიად სხვა განზომილებებში გადაჩეხილს ამომეხსნა მისი ამოუცნობი ფენომენი. თურმე, რა დიდი და რა პატარა გული გქონია: „ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო დილო სიცოცხლე!“... სწორედ მაშინ, როცა დავინახე ძაძებში შეფუთული კომპიუტერი, რომელიც ლაშკომ სიცოცხლეშივე უხეშად მოსროლა და იყვირა: „მოაშორეთ აქედანო“, მივხვდი, რომ ყველაფერი დასრულებული იყო. მან სიცოცხლის საუკეთესო წლები გაატარა მისთვის მართლაც ამ „ჯადოსნურ“ წიგნთან. ინერდა, ქმინდა იღებდა და თურმე ჩემთვის, ყველასთვის ავსებდა „ოქროს ფონდს“. უფრო ადრე კი მისი ჟურნალების მაგიდის მეორე თაროზე შევნიშნე მოზრდილი კოლოფი, გავხსენი და ვნახე ცნობილი კლასიკოსების მისთვის გამორჩეული წიგნები: „ანა კარენინა“, „ათას ერთი ლამე“, „მარტობის ასი წელი“, „წითელი და შავი“ და „გრავი მონტე კრისტო“.

აგრეთვე რამდენიმე გვერდზე ვნახე შავი კალმით დაწერილი გენიალური კლასიკოსის – რემარკის გმირის – პატარაცია ჰოლმანის გვარ-სახელი. იქნებ ეს სიმბოლო იყო მისი სიყვარულისა? რომელიც კრახით დასრულდა? არ ვიცი, არ ვიცი... მე კი გული მხოლოდ გარდაცვალების წინ რამდენიმე დღით ადრე ნაწილობრივ გადაიშალა, მაშინ, როცა ინტერნეტში შეყვანილი ფერიასავით ლამაზი გოგონას ფოტოები მაჩვენა. მოგონს? ჩუმად მეკითხებოდა. შემდეგ საკუთარ სურათებს დაუბრუნდა, ბევრი, ბევრი მაჩვენა რამდენიმე წუთში და იქ გაჩერდა, რომელზეც მიმანიშნა და მითხრა: - მგონი ეს ყველას ჯობიაო.

გადიდებულ და ეკრანზე გაჩერებულ სურათიდან ის ცნობილი ფოტო ისახებოდა, რომელიც თავად შეარჩია საკუთარი საფლავის ქვაზე ამოსატიფრად. თეთრი ქანდაკება კი რომელიც ამ ფოტოზე დაყრდნობით შეიქმნა, დღეს მთელ მუხათვერდს გადააჭყურებს ისევე „იმედინი“ ღიმილით.

კომპიუტერს შავი ფარდა ძლივს შემოვავლიჯე და საკუთარ თავს მთლიანად გადავაბიჯე. ფიქრობდი, იქნებ კიდევ ვნახო ისეთი განსაკუთრებული, რაც მე არ ვიცი

და რასაც მიმალავდნენ. თუნდაც, ის რაც საკუთარი ყურებით მოვისმინე: „მერის არ აჩვენოთ, თორემ გული მაშინვე გაუსკდება“...

არა, უეჭველად უნდა ვნახო ყველაფერი, კიდევ ვიმეორებდი, უნდა ვნახო, ვნახო, ხელის კანკალით დავიწყე კომპიუტერის აწყობა, რომელიც ისე იყო დაშლილი მე კი არადა, ამ დარგის სპეციალისტებსაც კი გაუჭირდებოდათ მისი ფორმაში მოყვანა, არ ვემეებოდი, ვწვალბოდი, მაგრამ არ გამომდიოდა. იძულებული გავხვდი, კარის მეზობელი, ლაშკოს სიყვარის მეგობარი შემომეყვანა, გიორგი ჯადუკიშვილი.

წამწამოვიც ჩართული მქონდა, რომ არაფერი გამომრჩენოდა კომპიუტერში. დაიწყო... პირველი, რაც დავინახე და მოვისმინე ეს ჩემთვის მეხის გაგვარდნასავით იყო მოწმენდილ ცაზე... ეკრანზე ჩემი ფოტო და სიმღერა იყო დადებული. ძალიან, ძალიან დაბალ ხმაზე ვმღეროდი კომპოზიტორ მიმიკო ზაქარიაშვილის ჰიტადქვეულ სიმღერას ფორტეპიანოზე. ვერ ვიჯერებდი, როგორ მოახერხა ლაშკომ მისი ტელეფონით გადაღება, მე ხომ ძალიან, ძალიან დაბალ ხმაზე ვმღეროდი? ორი კარი მაინც უნდა გაგელო მის ოთახამდე მისასვლელად. ან კიდევ, მე როცა ღრმად ვიყავი ჩაფლული ამ საოცარ მუსიკაში, მან ისე ჩუმად შემოაღო ჩემი ოთახის კარები, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ ინერდა. მე კი სამუდამოდ გამანადგურა ... მერამდენედ? ამ სიმღერას მოსდევს ლაშკოს სევდიანი სტრიქონები, რომელიც ამხანაგებში სუფრაზეა გადაღებული: „ჩვენს ნასახლარზე ოდესღაც ბალახი აბიზინდება“... ვერ ვხედებოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს, ნუთუ სიზმარში ვხედავდი ყველაფერს? არა, არა ეს ცხადში ლაშკოს კომპიუტერში ხდებოდა...

მონუსხულივით ვისმენდი სტრიქონებს, რომლებიც ჩემთვისაც და ლაშკოსთვისაც ერთნაირად აღიქმებოდა თურმე...

ჩემო „პატარა ბიჭუნავ!“ „ჩემო ციციანათელავ!“ რა გინდოდა, რას მერჩოდი? მითხარი, მითხარი კიდევ რა არ ვიცი და რას უნდა ველოდო? რა დიდი სულის პატრონი ყოფილხარ და მე ვერ ვხედავდი? რატომ, რატომ ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო დილო სიცოცხლე? რატომ მიმალავდი? გპირდები, შენგან დატოვებულ თითოეულ სიტყვას, სიცოცხლის ფასად ყველაფერს ვნახავ და გავვიფრავ, იმიტომ, რომ ასეთია დედის გული.

არა, უნდა ნავიდე, ნავიდე „იქ!“ შემლლი ვიცი, სწრაფად შემოვიხვიე ყელზე ლურჯი, მრავლისმთქმელი ქალაქი, შემოვიცვი ლაშკოს ნაჩუქარი შავი დუტის მოსაცმელი, ე.წ. „კურტკა“. სიჩქარეში დამავიწყდა ჩემი შავი თავსაბურავი. განწილი თმებით მივრბოდი „იქ“. რა ბედნიერი ვიყავი ჩემი მარტობით იმ წუთებში და რა უბედური ყველაფრის გამო. ეს იყო პირველი შემთხვევა, მათი გარდაცვალებიდან, რომ მე სრულიად თავისუფალი, მარტო ვყოფილიყავი პირისპირ ჩემს საყვარელ ადამიანებთან, რომლებთანაც ბევრი მქონდა სათქმელი...

ვერც კი შევნიშნე, როგორ დამათენდა თავს და როგორ მიიმალა ლამის წყვედიანთ შემოვიხვიე, დაუნლობელი, შავი უკუნი დამე, დამე, რომელიც ჩემთვის ყოველთვის თეთრია... ვგრძნობდი, რომ ძალა მელეოდა და სახლის პირველ სართულზე კიბეებზე მოურიდებლად დავჯექი. ცოტა ხანში ჩემ წინ წითელი ფერის პატარა მანქანა გაჩერდა. დავინახე, თუ როგორ მობრბოდა ჩემკენ ვილაც, ვერ ვიცანი, ის კი ალელვებული მეკითხებოდა: „მერი დეიდა“, ვის ელოდებით, ლიფტი არ მუშაობს? ცუდად ხომ არ ხართ? მე ავიყვანთ, არა, არა მე „იქ“ მივიდვარ და პაატას ველოდები-მეთქი, მოგატყუე. ამ დროს მან ტელეფონი ამოიღო და როცა მიხვდი, რასაც აპირებდა, გამოვგლიჯე ხელიდან, არ გაბედო პაატასთან დარეკვა, მას გული სტკივა და „იქ“, სადაც მივიდვარ, მარტო უნდა მივიდე-მეთქი, მარტო, მარტო, ვერ გაიგონე? ნადი შენს გზაზე-მეთქი და როცა თვალებში ჩახვდი, მაშინვე ვიცანი ჩემი გია კენჭოშვილი – მეთევზე ამჯერად მტკვარზე მიეჩქარებოდა. გულში ჩავიკარი და ყველაფერი მოვუყუევი მონატრებული შვილის შესახებ. მას სიყვარულით „კენჭიკას“ ეძახდნენ. ეს ის კენჭო იყო, რომელსაც 7 თვის განმავლობაში ერთი დღეც არ ჩაუგდია, რომ ლაშკოსთვის ცოცხალი თევზი არ მოეჭანა, ყოველდღე და რომ ეგონა, რომ ლაშკო ამ თევზებს სიამოვნებით მიირთმევდა მეთქი მოგატყუებთ. საცდელადაც კი ერთი ლუკმაც არ გაუსინჯავს, იმიტომ, რომ ვერაფერს, ვერაფერს ჭამდა...

კარგა ხანს ვისხედით გაჩუმებულები, დადუმებულები კიბის ცივი ქვის ფილაზე. ისევ მან დაარღვია დუმილი და კანკალით მითხრა! „ნავიდე, მერი დეიდა, მე ვიცი, თქვენ სადაც მიდიოდით და გთხოვთ უარს ნუ მტყვით, მეც ძალიან მომენატრა ჩემი

„ჯაველა“ და ერთად ნავიდე, ნამომეყვით, გთხოვთ... უსიტყვოდ დავემორჩილე და ჩავსხედით მანქანაში... როცა ჩემი თხოვნი „კენჭოშვილი“ მარტო დამტოვა სასაფლაოზე, მივხვდი, რომ სრულიად თავისუფალი ვიყავი ყველასგან... ხოლო შავი ქვის ლოდზე დამჯდარი მთლიანად გადავეყვი ჩემი ოცნების, ნარსულის, მოგონებების, დაუსრულებელი ფიქრების ისეთ მორევეში, რომელსაც უსასრულობა ჰქვია...

შორიდან კი მესმოდა ერთდროულად ამღერებელი ფრინველთა გალობა, ვერ ვარჩევდი ერთმანეთის ხმას. ვერ ვხვდებოდი, რომელი ჩიტი იყო, მერცხალი, მწყერი, მტრედი, შაში, იადონი, ტოროლა ან კიდევ ბევრი სხვა. მე ვეძებდი წვიმაში განუხულ იმ პატარა ჩიტს, რომელიც ერთ დროს ლაშქოს ოთახში ფანჯრის რაფაზე დასველებული ვიპოვნეთ. მე ხელში ავიყვანე, ვეფერებოდი და ვეხვეწებოდი: „ჩემო ბელურა ჩიტო, ჩემთან დარჩი და გათბი.“

საოცარ განცდებში, ფიქრებში სულით- ხორცამდე სრულიად ჩაძირულმა დავინახე, დავინახე მარჯვენა მხარეზე თუ როგორ დამაცხრა, დამენასკვა ძალიან, ძალიან უჩვეულო, გამორჩეული მოზრდილი მწერი თუ ჰაერში მფრინავი ჩიტი? არა, ჩიტი ნამდვილად არ იყო, არც პანანინა მწერი. მას, ვინ იყო, გაფრენას რომ არ აპირებდა? ჩემს მხარეზე ისე იყო გარინდული, რომ ვგრძობდი, რაღაცას მიმანიშნებდა თავისი იდუმალი „ლექსიკით“ და ეს გამოუცნობი „ლექსიკა“ მხოლოდ ფრინველებს აქვთ ერთმანეთისთვის თავიანთი „უესტიკულაციით“, მოძრაობით, ბგერებით გამოხატული. მას რა ვქნა? როგორ გავიგო, ვინ ან რა სულიერი მითობა მხარს და მარტოსაც არ მტოვებდა? მოვიფიქრე და ძალიან ფრთხილად ავნიე მარცხენა ხელი და სწრაფად დავაცხრი მარჯვენა მხარს. სულ მალე ჩემ გაყინულ ხელის გულში მოვიმწყვდით ის უმწეო არსება. თითებს არ ვშლიდი, მეშინოდა, არ გაფრენილიყო... არ ვიცი, მწერი იყო თუ ფრინველი... არ ვიცი... ჩემი დიდი ინტერესის მიუხედავად, ვინ მოინდომა იმ ძნელ ნუთებში ჩემი მარჯვენა მხრის ტყვეობაში ყოფნა, მე ხელს მაინც მაგრად ვუჭერდი, მეშინოდა, რომ არ ნასულიყო და ჩემთვის გამოცანად დარჩენილიყო. სინამდვილეში კი ვფიქრობდი, რომ ყველაფერი საუკუნის მერვე საოცრება იყო... ღრმად ჩაფიქრებულმა დავინახე, რომ მარცხნიდან ჩემსკენ მოფრინავდა ჩემი პატარა ციციანთელა, რომელიც ისე აენთებოდა და ჩაქრებოდა, რომ თვალის ერთ გაელვებასც ვერ ვასწრებდი. პანანინა ფრთები გაშალა, მოფრინდა ჩემთან, რამდენიმე წრე შემოხაზა მისთვის ჩვეული სიკეკლუცით, თითქოს რაღაც მითხრა, ისევე გაშალა ფრთები და უკან გაბრუნდა, მე კი დავედეგე და ვყვიროდი: „არა, ჩემო ციციანთელა“, „ჩემო საყვარელო ბიჭუნა“ არ ნახვიდე, არ დამტოვო, გთხოვ, შენმა შორით ნათებამ სულ დამწვა და დამანელა“. ერთ ხელში ლურჯი ქალაღია მეჭირა და ვაფრიალებდი სულ მალა-მალა და ვფიქრობდი: იქნებ იცნოს-მეთქი, მაგრამ არა და არა, მივსდევდი მანამ, სანამ ცის კამარას არ მიეფარა, ის მიფრინავდა შორს, შორს ღმერთებთან... ზეცაში.

არ ვიცი, ეს საუკუნის მერამდენე საოცრება იყო... დადუმებული, თითქმის გათიშული უაზროდ ნამოვედი, არ ვიცოდი, სად და საითკენ მივექანებოდი. მოვდიოდი, მუდმივად უკან ვიხედე, მაგრამ ამაოდ, ის არ ჩანდა... საკმაოდ გრძელი მომჩვენა გზა, რომელიც საკუთარ საფლავებთან მიმიყვანდა. ისევე „ის“ თეთრი ქანდაკება დამეხმარა საყვარელ ადამიანებთან მიახლოებაში. უცებ გამახსენდა, რომ მარცხენა ხელის მუშტში, რომელსაც ვერანაირად ვერ ვხსნიდი, შეფარებული მყავდა, უკვე ჩემს ხიზნადქცეული, სრულიად უცხო, უმწეო არსება. ძალა მოვიკრიბე და ფრთხილად, მთლიანად გავშალე ხელის გული და ჰოი, საოცრებაც, ის უმწეო, პატარა მწერი ისევე სუნთქავდა, ტოკავდა და სრულიადაც არ ფიქრობდა, თუ არ შეეძლო გაფრენა... დავაცქერდი და კარგად დავაკვირდი. ულაბაზესი პეპელა აღმოჩნდა. როგორ მიხდოდა, სრულიად თავისუფალს, რაღაც იდუმალი ძალა აღმოჩენა და გაფრენილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ავიყვანე ხელში და ლაშქოს საფლავის ქვაზე სურათთან დავსვი, ის ისევე სუნთქავდა. როცა მოვიხსნულე, უკვე გაფრენილი იქნება...

ეჰ! ჩემო ციციანთელეო და პეპელეო, რომ გესმოდეთ, როგორ აღმანთეთ, როცა გდევდით შორს, შორს, არ ვუშინდებოდი აღმართ-დაღმართებს, გორაკებს, ბილიკებს და ალბათ მაშინ დავმარცხდი, როცა ეს სტრიქონები ქალაღზე გადმოვიტანე... რადგან „ჩემო ოქროს ბიჭუნა“, როცა შენ აირჩიე ის გზა – ქრისტეს გზა, თავადვე გარდაიქმენი ციციანთელად, როცა ზეცაში გაფრენა გადანყვიტე და მარტო დედას შეეძლო შენთვის სიმბოლურად და ალეგორიით მოეძღვნა ახალი სახელი, ზეციური სახელი, – ციციანთელა: თორემ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორი „გოლიათი ლომი“ იყავი (ზოღიაქოს ნიშნითაც ხომ ლომი იყავი) და რა რეაქცია მოყვებოდა შენგან ამგვარ გადაჭარბებულ ქათინაურებს... ეს იმიტომ, რომ შენ დედამიწას მოეგონინე ნამდვილ კაცად, ყველა შენი თვისებებიდან გამომდინარე, ეს ერთეულთა ხვედრია, შენ ყოველთვის კაცურკაცობის განუმეორებელი დასტური იყავი... დანარჩენი კი შენი და ჩემი ბედისწერის ბრაღია. აწი კი, შენ ჩემთვის ყოველთვის „ციციანთელად გარდაქმნილი ლომი იქნები“. და არასდროს ჩაქრები... არასდროს დამარცხდები. მიუხედავად ყველაფრისა, შეგახსენებ: „ჩემს სტრიქონებში სული კვლავ იწვის, ლამის ბნკარებიც ცრემლით დავანამო, სხვამ თუ

არ იცის, შენ მაინც იცი ჩემო გულო და ჩემო კალამო.“ როცა დასრულდა „24 საათის ამბავი ქალის ცხოვრებიდან“, როგორ ვგრძობდი იმ წუთებშიც კი რა მწარე იყო იმის გახსენება, რომ ჩემი ცხოვრების მუდმივი თანმდევნი ჩემი სევდიანი სიმღერები, საბოლოოდ დასრულებული რომ იყო, რადგან შორიდან მოჩანდა მტანჯველი ანთებული „ლადარი“, ჰოდა თუ სიმღერა დასრულდა, გულშიც ცეცხლი რად არი? სად არი, მზად არი...“

იცანით? ჩემი მოციმციმე ციციანთელა და ფრთა-ფარფატა ჭრელი პეპელა?

ვიცანით, ვიცანით, ვიცანით... ექოსავით შორიდან მესმოდა...

მზე ჩადიოდა და სისხლით ივსებოდა...

P.S. ახლა კი წერილში დანაპირების შესახებ, რომელიც ამ მოთხრობის დაწერას რამდენიმე დღით ადრე წინ უსწრებდა. როცა რესპუბლიკურ პრესაში დაიბეჭდა ცნობილი ნოველა „მორონადქცეული დედის ცრემლები“, ჩემი ნოველა, რომელიც მანამდე მქონდა დაწყებული, მთლიანად შეიცვალა. რადგან თემა ერთ დღეში მომხდარ ჩემ თავგადასავალზე იყო აგებული, მთლიანად ისე შეერწყა მოთხრობას, რომ გადავწყვიტე ამ წინაპირობაზე საუბარი.

კარგად ვიცი, რომ ჟურნალისტები თავიანთ მუხას ფანტაზიებით, ეპითეტებით, ქვეტექსტებით, ალეგორიებით როცა გადმოსცემენ, მაშინ მიმართავენ სხვადასხვა „ხრიკებს“, რათა მათ არ სურთ, რომ პირდაპირ თქვან თავიანთი სათქმელი და ასეთ დროს იყენებენ, ირჩევენ წერის იმ ფორმას რომელსაც კეთილი „ტყუილი“ ჰქვია. კერძოდ, რამდენიმე თვის განმავლობაში მუხლებზე დაჩოქილი ჩემი შვილის – ლამას სულს ღვთისმშობელს ვავედრებდი, ისე როგორც ყველა დედა მოიქცეოდა. ძალიან მალე ცნობილ ფოტოზე ვიხილე ჩემთვის და ყველასთვის უცხო გამოსახულება. სურათი სრულიად განკრიალებულ ხის ჩარჩოში მქონდა ჩასმული, სხვა ფოტოებთან და ხატებთან ერთად იყო იქ განთავსებული, სადაც უნდა ყოფილიყო, და სანთლები გამუდმებით ენთო. ფოტო ხელში ავიღე და ეკლესიაში გავიქეცი. ყველა მდღელ-მსახურმა ერთხმად აღიარა, ეს მირონია, თქვენ ღვთის მშობელმა მინიშნება მოგცათო, შემდეგ შემოვიდა ჩემი მოძღვარი, დახედა სურათს და მითხრა: დაე, იყოს მირონი თუ თქვენ ასე გგონიათ, მაგრამ რატომღაც მე მახსოვს, რომ მირონი მხოლოდ ხატებზე გადადისო... კი არ მგონია, ეს ასეა, ხმაშლილი ვიყვირე – დამავინყდა, რომ მე მრევლი ვიყავი და ის მოძღვარი. როცა ჩემი სულის ყვილი გაძლიერდა, ჩემთვის უჩვეულო ხმამაღალი ტონით დაეუწყე შეპასუხება, ის ბავშვივით აკანკალებული ხმით მესაუბრებოდა. ჩარჩოში ჩასმული მირონადცხებული ლაშქოს ფოტო სწრაფად გადავანოდე, „უესახსოვრე“?.. თან დავძინე, ის ხომ თქვენი მეგობარია იყო და დარჩეს თქვენთან-მეთქი. მითხრეს, მირონის გაჩუქება ჩემგან სრულიად არაქრისტიანული და რელიგიურადაც მიუღებელი იყო. ძალიან შევმინდი, შევწუხდი არცოდნის გამო, განმიმარტეს, რომ „ღვთის სასწაული“, რომელიც ფოტოზე მოხდა, ე.ი. გარდმოვლინებაც და მარიამ დედის მინიშნებაც მხოლოდ იმის საკუთრებაა (ე.ი. ჩემი), ვინც დიდხანს იბრძოდა, ლოცულობდა ამ ხილული სასწაულისთვის, რომელიც ცხადშიც იხილა, ამიტომ „მირონცხებული“ ფოტოც თავისი ჩარჩოთი იქ უნდა იდგეს, სადაც ღვთის ნება აღსრულდა.

ძალიან, ძალიან მიჭირდა, მაგრამ მოძღვარი ტელეფონით ვესაუბრე, ავუსხენი, რომ ჩემი საქციელი არასწორი იყო რელიგიურად, პატივაც ვთხოვე, ბოდიშიც მოვუხადე ჩემი გაცხარებისთვის, ხმის ტონისთვის და ვითხოვე, რომ „მორონადქცეული დედის ცრემლები იქ დაიღვრებოდა, სადაც ჭეშმარიტად იყო განკუთვნილი ღვთისგან ბოძებული კუთვნილი ადგილი. მოძღვარმა ერთხანს დუმილი ამჯობინა, მერე კი მითხრა: „ეს ყველაფერი მეც კარგად ვიცი, მაგრამ ვერაფერი გითხარით, რადგან ისეთი დიდი სიყვარული ვიგრძენი თქვენგან, მოყვასისგან, მეგობრების მიმართ, რომ ვერაფრის თქმა ვერ შეეძელი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა იყოსო“.

კულმინაცია იყო ცნობილი ჟურნალისტის მამუკა ვაშაკიძის ავტორობით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ნოველა „მორონადქცეული დედის ცრემლები“. ვკითხულობდი ამ მძაფრსიუჟეტთან მასალას და აღმოვაჩინე არასტატუსიანი ნამდვილი მოძღვარი, მან მისთვის ჩვეული ფრთხილი სიღრმე, ტაქტიკა, სიღრმით და სიბრძნით ერთ წინადადებაში მითხრა ის, რაც ვერცერთმა ეკლესიის მოძღვარმა ვერ შეძლო. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ისე დაუფიქრებლად წარმოთქმულ სიტყვებს როგორცაა: „თუ შენ ასე გგონია“, ხოლო, მე როგორც მგონია, პატივცემულო მოძღვარო, ახლავე შეგახსენებთ იმ ჟურნალისტის ნათქვამს, რომელმაც ერთ წინადადებაში ჩააქსოვა მთელი სიბრძნე და განაცხადა: „თუ დედის ნაცრემლზე იები ამოდის, რატომ არ შეიძლება დედის ცრემლები მირონად იქცესო?“

აპილოზი

ეჰ, ჩემო ძალიან, ძალიან მონატრებულო და ძვირფასო მკითხველო! როგორც შევძელი და მოვახერხე თქვენი გულის, სულის ხვეულებში ჩანვდომა, ისე დავწერე თქვენთვის ეს უჩვეულო ნოველა ჩემი ტკივილების გასაზიარებლად და თქვენგან გამოგზავნილი მირონად ქცეული ცრემლების მისაღებად. არ ვიცი, შევძელი თუ არა, ამაზე თქვენ უნდა მიპასუხოთ. მანამდე, ვიდრე ეს მძაფრი დრამატული ნაწარმოები დაიბეჭდებოდა, ჩემი კოლეგა-ჟურნალისტების გარდა, ვაგაცანი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცნობილ მწერლებს და გამიკვირდა, ყველას შეფასება ერთნაირი იყო. ერთნაირი ტკივილი. შენ კი, ჩემო ლაშქო, ვერაფერს გეტყვი, გარდა ერთისა. მე შენ გელოდები და ნუ დაიგვიანებ, თუნდაც ჩემს ფანტაზიებში. ხოლო 14 აგვისტოსთვის ყველა მონაწერი გამომხაურებებიდან შევარჩიე ჩემი და შენი ფავორიტი მწერლის დავით ტურაშვილის ამონარიდები მის მიერ გამოგზავნილი წერილებიდან, რომლებიც ძალიან, ძალიან ბევრია. მართალია ის მე მწერს, როგორც დედას, მაგრამ პირველად გეუბნები მიიღე მოლოცვად, რომელსაც მე ძალიან გავუბნობდი და გეუბნებოდი, რომ არასოდეს მოგილოცავდი. მაგრამ დღეს მან, მწერალმა, დამარწმუნა კიდევ ერთხელ სულის უკვდავებაში და მითხრა, როცა ნოველა ნაიკითხა: „დიდი მადლობა რომ მომწერეთ და გამომგზავნეთ თქვენი ტექსტი, რომელიც ამაღლელებზე და შთამბეჭდავია, თქვენ იმდენად ნიჭიერი ადამიანი ხართ, რომ მიუხედავად დიდი ტკივილებისა, მაინც უნდა წეროთ, რადგან წერა ნამალივითაა ამ დროს. რამდენჯერ გითხარით, უკვე მომეწონა-მეთქი და არც ვიცი სხვა დედა, ვინც შვილის დაკარგვის შემდეგ ასე ურთიერთობს მასთან. რასაკვირველია, მანამდეც ვიცოდი, რომ ლიტერატურაზე დიდი ძალა არაფერს აქვს, მაგრამ თქვენი შემთხვევა ჩემთვის ზემოთქმულის ისეთი დადასტურებაა, რომელსაც მანამდე არც კი ვიცნობდი. ამიტომაც ისევე გავიმეორებ იმას, რაც უკვე გითხარით – არავის ჰკითხოთ აზრი თქვენი ტექსტების შესახებ, რადგან არავინ გეტყვით სხვა აზრს, გარდა იმისა, რომ ძალიან მოსწონს, რასაც თქვენ აკეთებთ, იმიტომ, რომ ეს არის უნიკალური გზა თქვენი სიცოცხლის გაგრძელების და რაც მთავარია იმ სიცოცხლის დაბრუნების, რომელიც ყველაზე ძვირფასი იყო თქვენთვის. ეს მხოლოდ ლიტერატურას შეუძლია“ (დავით ტურაშვილი).

დაახს! ეს ნოველა ჩემი დანერლია მაგრამ მას სამი ავტორი ჰყავს, დავით ტურაშვილი, მამუკა ვაშაკიძე და სპარტაკ ქობულაია. ასეთი დიდი ძალა აქვს მწერლების და ჟურნალისტების შეგონებებს.

ჰოდა ჩემო დათო! იმ უნიკალურ გზას გავუყვები, რომელიც თქვენ მირჩიეთ და რომელიც დამეხმარება იმ სიცოცხლის დაბრუნებაში, რომელიც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაზე კი რა მოგახსენოთ...

რასაკვირველია, ყოველთვის ვიცოდი, რომ სიტყვა ღმერთია, ხოლო ღმერთი კი სიყვარულია... რამაც საბოლოოდ დავრწმუნდი, მაშინ, როცა ჩემმა მეგობრებმა თავიანთი შემოქმედებით შეძლეს ჩემი „მოქცევა“, „შემობრუნება“ და პირობა, რომელიც ლაშქოს ცხედართან დავდე და არ ჩავიდინე გამოუხსნორებელი დანაშაული, სამხინელი ცოდვა და მაგრძობინეს, რომ ყველა პირობაზე უფრო მაღალი და ძლიერია ღმერთის სიყვარული და ეს არის ქრისტეს გზა, გზა ჭეშმარიტებისაკენ. ეს ადამიანები ხომ ჩემთვის ღმერთის სადარი რეალური პიროვნებები არიან. ხოლო ჩემი ლაშქო ხატად ქცეული ღმერთია ჩემთვის და როცა ვკითხულობ მამუკა ვაშაკიძის მარგალიტის მძივებად ასხმულ ასოჩუქურთმებით მოქარგულ სტრიქონებს, აჩრდილივით სულ თან დამდეგს მისი ძალიან ფრთხილი ნათქვამი: ქართველმა დედამ არასდროს უნდა უღალატოს ქრისტიანულ მრწამსს. მე ვიცი, როდის და რაც მითხრა, მაგრამ მკითხველიც კარგად მიხვდება, რასაც გულისხმობდა ავტორი. იმას, რომ უფალი ყოველთვის საბედისწერო მომენტში გვაფთხილებს: „ნუ გეშინიათ, მე თქვენთან ვარ“ და რამდენი სიტყვა, რამდენი მხატვრული სევდიანი ნაწარმოები, ნოველა მიუძღვნა ლაშქოს თემას, მშობლების თემას, სიბრძნით, სიღრმით, ტაქტით და მოკრძალებით გადმოცემული. ჰოდა, სადარი კი არა, რატომ არ შეიძლება პირდაპირ ღმერთი ვუწოდო პირადად მე, რადგან მე ის დავინახე, „რაც ღმერთებს სწყურიათ“. ის გახლავთ ყველა ჩემი სტატიის ავტორიც, თანავტორიც და საკუთარი თავის და ყველას უფალიც...

შენ კი, ჩემო ლაშქო 3 წლის შემდეგ პირველად გილოცავ დაბადების დღეს... ეს შეძლეს შენმა და ჩემმა მეგობარმა ადამიანებმა...

ასეთი დიდი ძალა აქვს ჟურნალისტებისა და მწერლების სიტყვას...

დალი გაზივილი

აქედან იქით ჩემია, იქიდან აქეთ მისია, დღემდე ვერ გამირჩევია, ჩემი არის თუ სხვისია. იქიდან აქეთ რჩებიან, ვინც იქ ცხოვრების ღირსია, მოყვრულად შემოგვჩვევიან, ვინც მტრები შემოგვისია. ზოგისთვის შენაძენია უპირველესი მისია, სამშობლო განსაცდელშია, აღარც მან იცის, ვისია?!

მზე მინდვრებს მოინატრულებს, ტყე-ტყე აწითლებს ძახვლებს, ქედებს წვიმისფრად ახუნებს, დღეები თვალს ძლივს ახელენ. ნაპურალ-ნაჯეჯილები აღარ მოელის მნახველებს,

თამარ მღებრივილი

შენ ჩემში ფიქრად ერთხელ გაჩნდი და ვერ დავაღწიე ამ ფიქრს მე თავი, შენ არ მთავრდები არც დღის ბოლოს და არც სიკვდილისას არ დამთავრდები.

შენ ჩემი ფიქრის გქვია სახელი, გქვია სახელი სიზმრის და ცხადის, მე მოვდიოდი შენამდევ მამინ, როცა არ მქონდა შენსკენ სავალი.

აღარ ხარ ჩემთან, თუმცა ჩნდები ჩემში – მოუსვენარი და უღმობელი შენ კი არა და ღმერთმაც არ იცის, როგორ მწუხდი და როგორ მტკიოდი.

შენ ჩემში ფიქრად ერთხელ გაჩნდი და დამაკარგინა ამ ფიქრმა თავი, მე, შენი გზების ერთგულმა მგზავრმა, ამ გზებზე ჩემი მსჯავრი ვიცანი.

არ დამთავრდება ჩემი წუხილი, შენ და ამ წუხილს როგორ გაგცდებით, სანამ შენ ჩემი ფიქრები გქვია, სანამ მე მესმის შენი სახელი.

ნუ ააშენებ შენს საკუთარ სახლს ადამიანში, რომელიც წავა. ის თან წაიღებს სულ ყველაფერს, რაც შენ აშენე – სახლს – ოთხი კედლით, ბევრი კარით და ორი სარკმლით, რომელიც ერთ დროს გადაღებე მისი თვალისფრად. ნუ აყვავებ ფიქრით სავსე ბაღს ადამიანში, რომელიც წავა. ის თან წაიღებს ყველა შენს ფიქრს,

ირმა ყალიჩავა

*

დღეს ალიონზე დაღლილი ქარი მთებზე გაფენილ ღამეს ებრძოდა, პარმალზე იწვა დაჭრილი მთვარე და წვეთდა ნისლი სახლის ერდოდან. გოდებდა ქარში ეული მუხა, ძილმორეული თვლემდნენ ლოდები, მთები კი იდგნენ ამაყად, კუშტად, ვით მგლოვიარე ანგელოზები. ინვერებოდა აისი მთიდან, მინას მწუხარე ფერებს აცლიდა, ღამეულ ზეცას სამოსელს ხდიდა და ვუალს სწევდა მკრთალი სახიდან. ქრებოდა ბოლო ვარსკვლავი ცისკრის და ვის ესმოდა ღამის ვაების... გაჩენის წუთი დგებოდა მზისთვის, მთვარისთვის – მხოლოდ გარდაცვალების...

*

რაც დასაკარგი იყო, დავეკარგე, რაც შესაძენი – წლებმა შემძინეს, გულზე მიჭერდა დარდი არტახებს, ჩემი ცხოვრების უხმო მენყვილე. ზოგჯერ სიმართლე მექცა არაკად, ზოგჯერ სიცრუის მწვავდა სიმწარე და სწორედ მაშინ დამაგვიანდა, როცა ყველაზე მეტად ვიჩქარე. რაც მოსასვლელი იყო, მოვიდა,

ფრონის, ლიხვისპირები დარდიან გულზე ახველებს. უმთვარო ღამელა ფარავს ქართლის ვრცელ გადასახედებს, ეს ის წუთია, ქვეყანა თავის გულში რომ გახედებს.

მზე ეფინება ნარგიზებს, იქითელსა და აქეთელს, თანაც უამებს ტკივილს ზვრებს, იქით ურთველობას, აქეთ რთველს. უმრევლო ტაძრებს დაჰკოცნის, ქართველის ხელით ნაკვეთებს, იქნებ უფალი კიდევ გვცდის, ვინ რას და რისთვის აკეთებს.

წმინდა ნინოს შემოსვლა

საუფლო ქალაქს ცის ბროლი მორთავს, არმაზის მთიდან შემოდის დილა, ნოხად ეგება გზით დაღლილ სოსანს

და თან სხეულსაც შეგიმოსავს ფიქრმწუხარებით. ნუ ააშენებ შენს საკუთარ სახლს ადამიანში, რომელიც ყველა კარიდან წავა და არც ერთიდან არ დაბრუნდება.

შენს სახლთან ერთი მცირე ბაღია, შენი ფანჯრები დაჰყურებენ ამ ბაღის სკამებს. ხალხი არც ისე ბევრი დადის, გზა ცალმხრივია. მე ვზივარ სკამზე და აყვურებ შენი ხელით დაკიდულ ფარდებს.

სულსებს, რომლებიც იზრდებიან მარტოობაში აქეთ ბევრი კარი, აქეთ ბევრი სახლი და ნასახლარი სახლზე მეტია.

მე რამდენჯერაც მიტოვების შემშინებია, სწორედ იმდენჯერ მიმატოვეს და დახურეს კარი.

შენ შემოხვედი ამ კარის მიღმა, უკედლობაში თითო კედლად აღმემართე და მაჩუქე სახლი.

სახლი, რომელშიც მხოლოდ მე და შენ უერთმანეთოდ და ერთმანეთთან უნდა გვეპოვა ერთმანეთი და ჩვენზე თავი.

ორი ზამთარი გადავიტანეთ წელიწადია, გაზაფხული რაც შეგვისრულდა და გავა წლები ასე ფიქრდაფიქრ და მეც შევრჩები სახლს მაცხოვრებლად, სადაც შენ არ ხარ, სადაც არასდროს არ დაბრუნდები.

რაც წასასვლელი – მიაქვს გრიგალებს და ვფურცლავ ახლა დღეებს შორიდან, მე რომ არაფრით არ შემობრალეს.

*

წუხელ ქარში ვალს ცეკვავდა ღამე, ღამე შავი, გიშრისფერი მზერით, წელზე ქამრად შემოერტყა მთვარე და ყორნის ფრთებს მიუგავდა თმები. მე კი ისევ დარდს ვებრძოლე ნაცნობს, ფიქრებს კართან აბუზული სძინავთ, ღამის სევდა დავიტოვე ახლოს, ლექსის გულში მივუჩინე ბინა. შორს, ღრუბლებში გაიღვიძეს მთებმა, მიმქრალ მთვარეს ქარი ფლოქებს ურტყამს, ეჰ, სიცოცხლე ისე სწრაფად ქრება, როგორც ხელში გალუული გუნდა... ახლა ქარი ბოლო ვარსკვლავს აქრობს და ნისლებში გახვეულან მთები, მე კი ლექსის სიყვარული მათრობს და ამ ლექსში სამუდამოდ ვრჩები!

*

ნაზამთრალ ფიქრებს იმედებს ვაცმევ, დრო მემუქრება ცალად დარჩენილს, რა მოხდებოდა, რომ ბედის მაცნეს გამოეტანა სხვა განაჩენი. ძნელი გამოდგა გზები რაოდენ, დაგვიანდა და ვერ მოგისწარი, როცა გრძნობები გულში ყვაოდნენ, ლექსილა შემრჩა დასაფიცარი.

ციდან ნაცვინი ხომლების ბრწყინვა. ქარი უფარცხნის ღრუბლის თმებს ზეცას, მცხეთის საფირონს შეარხევს ქნარი, ვაზის ლერნიდან ისევ მზე წვეთავს, ისევ მუხლს იყრის არაგვთან მტკვარი. ჯვარი კი ჩვენს სულს აკელაპტარებს და განშორებას არასდროს ცდილა, ქართლის მოქცევის მადლს დაატარებს წერილ მაყვლოვანში ნაპოვნი დილა.

ფერისცვალების მერე...

ფერისცვალების მერე ზეცა აღვინებს ფერებს, შეოქროსფრებულ ზვრებში მნიფე ცვარს ჩააყენებს. შეფარვით აფერადებს ხეთა ფოთლების დარდებს, თანაც ქარს ატანს უხმოლ მათ ზურმუხტ-ბრილიანტებს. სამყარო იცვლის სახეს, ფოთოლცვენაც ხომ ამხელს, ფერისცვალების მერე, საკუთარ სულში ვნახე.

ღამით ნაფიქრალს დღე ვერ გაფანტავს და ნაქსოვ დარდებს ველარ დაარღვევ, სულს ის სამოსი უნდა ჩააცვა, რასაც ირგებს და რასაც მოირგებს.

ჩემს სულს სამოსად არ რგებია შენი ღიმილი, მხოლოდ ტკივილი, მხოლოდ დარდი, უიმედობა. ნაშიშვლარია ახლა სული და ცარიელი, დიდი ხანია მოგონებაც გაუთითოვდა.

ღამით ნაქსოვ დარდს დღე ვერ დაარღვევ, სული ვერ ირგებს, რაც არ რგებია. რთული არ არის, რომ გემინოდეს, რთული ყოველთვის სიყვარულია.

შენ სულსმომდგარი ერთი სიტყვა ხარ, სიტყვა, რომელიც ვერ ვთქვი აქამდე. ყრმობისდროინდელ ფიქრსაც არ ჰგავხარ, ერთხელ ნაფიქრს და გადანაფიქრებს.

მე, სულმიმქრალი, ჩემს სიბნელეში, შენი სინათლით ვკვებავდი სხეულს. არც სახლი მქონდა, არც სულის ქერი, არც საკურნებლად რაიმე სწეულს.

იყავი შენ და, თან იყო ღმერთიც და ვერ ვარჩევდი, თუ ვისი მწამდა, მეტად და ძლიერ ვისი მჯეროდა, შენი თუ ღმერთის, ღმერთის თუ შენი.

შენ სულსმომდგარი ერთი სიტყვა ხარ – დასაბამიდან ერთი და მთელი.

როცა ვილაცა ღიმილს იმკიდა, ორნივ ტკივილის მარცვალს ვთესავდით, ღობის აქეთ და ღობის იქითაც დარდმა იხარა ატმის ხესავით. ახლა გუშინდელ ხვალეს ვაშენებ და ძველ სხეულში ვახრჩობ სიბერეს, რატომღაც ჩემი არ გამახსენე, რატომღაც შენი არ გაიხსენე...

მამას

ზოგჯერ სიზმარში მესტუმრება ჩემი წარსული, მინის სურნელი, წვიმიანი ძველი ლაფარო, მამის ხელებში სათუთუნე ფერგადასული, ალუჩის ძირში დატეული მთელი სამყარო. ისევ შორიდან მომახედებს მამის ძახილი, ცხადად ჩამესმის ჟანგიანი ჭიშკრის ჭრიალი, ისევ ეზოში გაუშლია დედას სადილი და ჩემი სულიც იმ ალუჩის ძირში ტრიალებს. ახლა ანჯამებს ახმაურებს ქარი ეული, კიბის ხვეულებს აჰყოლია მწვანე ბალახი, სადღაა ახლა ის ალუჩა გადარეული, ან მამაჩემის ფერგასული ძველი ხალათი? დროს წაუღია იმ ბედნიერ წლების სურნელი, მამის ნაჯაფი, მზედაკრული ხელების სითბო, უკვე სიბერის დამდევს სევდა განუქურნელი, მაგრამ სიზმარში ისევ „მამას გოგო“ ვარ თითქოს... ეჰ, ნეტავ წამით დამიბრუნა ახლა წარსული, ისევ მანახა წვიმიანი ჩემი ლაფარო, ძვირფას ხელებში სათუთუნე ფერგადასული, ალუჩის ძირში დატეული მთელი სამყარო...



ლიბერალური ანალიტიკური სილუაზი

რეზი თვარაძე

შეუძლებელია რეზონანსული არ ყოფილიყო და კოლოსალური შთამბეჭობელი ძალა არ ჰქონოდა XX საუკუნის დიდ ქართველ სწავლულთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდ-ბუნებოვან გაკვეთილებს...

ამ თვალსაზრისითაც სრულიად განსაკუთრებულია მათი ღვაწლმოხილების დიაპაზონი...

არსებითად ამ ფაქტორმაც განაპირობა იმ სულიერად ემანსიპირებული და ინტელექტუალურად სრულყოფილი თაობის შემოქმედებითი ძალმოსილებანი...

ათწლეულების განმავლობაში მათ ღირსეულად აღასრულეს ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჭეშმარიტად ემბლემატური მისია, სრულიად განსაკუთრებული აქცენტებით აღბეჭდეს საკუთარი ყოფიერების საზრისი...

გრანდიოზულია თუნდაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა ამ რენესანსული ჟამის მრავლისმეტყველი კვალი, რომელიც იმედა, მომავალშიც არა ერთსა და ორ თაობას „მოაძებნინებს“ ერის უღრმეს სულიერ წარსულთან „დიალოგის“ გზებსა და ბილიკებს...

ამ ღვაწლმოსილთაგანი იყო რევაზ თვარაძე...

გულწრფელად მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი დღევანდელი ინტელექტუალური თუ მორალური გადასახედიდან კიდევ უფრო მეტ აქტიულობას იძენენ მისი მეცნიერული თუ ადამიანური ცხოვრების რეალიები...

მისი ანალიტიკური გონი, ერუდიცია და სულიერების მაღალი კულტურა ჰუმანიტარულ კვლევათა იმ ინგრედიენტებს წარმოადგენდა, რომელთა ერთობლიობამაც აღიქვა და წარმოაჩინა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის მეცნიერულად სტრუქტურირებული პანორამა... შესძლო ყოფილიყო ერთი ჭეშმარიტი კლასიფიკატორთაგანი ერის უმდიდრესი სულიერი მემკვიდრეობისა...

უაღრესად ფასეულია მისეული ანალიტიკური შტუდიები...

უმორესი თუ ახლო წარსულის სულიერ წიაღს ორგანულად ნაზიარებისათვის, არა იყო რა ამოუცნობი, ბუნდოვანი და ფერდაკარგული...

მკვლევრის ანალიტიკური გონი ნათელს ჰფენდა იმ ფარულ კონტექსტებსა და მოდალობებს, რომელნიც

არსებითად განაპირობებდნენ მათ ჭეშმარიტ ღირსებებს...

დროთა კავშირისა თუ ჟამთა პერმანენტული უწყვეტელობის პრობლემა, მისი საზოგადო სტრატეგიის კიდევ ერთი კონცეპტუალური დისკურსი იყო...

სასულიერო და საერო მწერლობის მისეული ანალიტიკა ამ თვალსაზრისითაც ფრიად საგულისხმოა...

სიმპტომურია ისიც, რომ იგი არ იზღუდებოდა მასალის კონკრეტული ჩარჩოებით და სჭვრეტდა სამყაროს კულტურული ტრადიციების უფართოეს სპექტრს, რითაც მყარ და არსობრივ წარმოდგენას ქმნიდა საანალიზო ტექსტების მიმართ...

მაღალ სულიერ ღირებულებათა რეპრეზენტაციური, იგი აღორძინებდა ეროვნული ცნობიერების კრეატიულ ვენებს და უტყუარი აღლოთი აღბეჭდილ მეცნიერულ კვლევებს სულიერი მედიუმის ფუნქციით წარმოსახვდა...

ვრცელი საუბრის თემაა მისი ფილოსოფიური განსჯანი... და ეს ალბათ ბუნებრივიცაა, რადგან მას, როგორც ბუნებით ანალიტიკოსს, შეუძლებელია არ ჰქონოდა თავისი ოდენ ექსკლუზიური და მკაფიოდ გამოკვეთილი ფილოსოფიური შეხედულებანი...

ისიც აღსანიშნავია, რომ მისი ანალიტიკური ტექსტებისათვის სრულიად უცხოა ე.წ. „პათეტიკური ცდომილებანი“, ანუ ოდენ გულუბრყვილო აღფრთოვანებანი და იმავ დროს სრულიად იგნორირებულია მისი ანტიომიაც – „პათეტიკური ცდომილების“ სახით – სულიერ ფასეულობათა ავად აკვიატებულ, დაუმსახურებელ კრიტიკას რომ გულისხმობს...

სიმპტომურია ისიც, რომ ლიტერატურისათვის ესოდენ ორგანიული კრეატიულობა მის მიერ ფენომენოლოგიური აღქმის იმპულსადაა ქცეული.

აქედანვეა ტენდენცია სინთეზის პრევალირებისა „მშრალი“ ანალიზის მეთოდზე, სწრაფვა უნივერსალიზმისაკენ, კულტუროლოგიური კონტექსტებისა და სულიერ ტრადიციათა ობიექტივაციისაკენ...

მათში ერის სულიერი აქტივობის ყოველი მომენტი აღქმულია როგორც გლობალური დროის მიმართ გაღებული „საზღაური“ და ბიძგი მომავლისაკენ.

ისიც ნიშანდობლივია, რომ მის ანალიტიკას მიმზიდველობას სძენს ჭეშმარიტი ლიტერატორისათვის დამახასიათებელი ემოციური ხიბლი, ანუ ტექსტიდან მომდინარე კრეატიული ენერგეტიკა...

და თუ დრო და დრო მის ღრმა ანალიტიკური ფიქრებით აღბეჭდილობის შემთხვევაში „სჭვავის“ გონიერი ექსტაზის იმგვარი პათოსიც, რომელზეც თვით უძველესი „პლატონიკოსები“ აპელირებდნენ, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, ესაც მის ღირსებაზე მეტყველებს...

იყო მაღალი ღირსებით მეტყველი და ეროვნული სულიერების შეუღრეკელი ქომაგი...

დრო ვერ შლის და ვერ ავიწყებს ადამიანებს ამგვარ მოღვაწეთა ხსოვნას, რადგან შთამომავლობას სწორედ მათგან, საკრალურ შეგონებად გადაეცემა ეროვნულ ღირებულებათა ერთგულების ის სულისკვეთება, რომელთა შესისხლბორცების გარეშე ნონსენსია ქვეყნის ღირსეული მოქალაქეობა და ამ უნეტარესი რწმენით სიცოცხლე...

გურამ ბენაშვილი

სიფხათქანალოა თაპარ შაიხელაშვილის ლექსთა კრებული „სულალები“

ამ პოეტური კრებულის გამოცემიდან ათი წელი გასულა, „ქართული წიგნი“. თბილისი -2013 წელი, აწერია თავფურცელზე. საიუბილეოდ თავიდან ვკითხულობ და მრავალ საინტერესოს აღმოვაჩენ ისევ. ალბათ ეს არის ჭეშმარიტი პოეზიის ხიბლიც.

წიგნის განხილვას აქ არ შევუდგები, რადგან ეს შესანიშნავად გააკეთა ქალბატონმა ლეილა ქიტოშვილ-სახლთხუცეშვილისამ წერილში „ვივლით ჟამიდან ჟამთა ქროლაში, გაზაფხულების ჩამოთოვამი“ (თამარ შაიხმელაშვილის ლექსების კრებული „სულალები“). ეს წერილი უფრო „ანულის“ 2022 წლის მე-3, საიუბილეო ნომერში დაიბეჭდა.

თვითონ წიგნი კი წინასიტყვაობის ნაცვლად იმდენი ცნობილი ადამიანის გამონათქვამი ახლავს თამარის ლექსებზე, რომ ძნელია რაიმე მიუმატო.

მე მხოლოდ ამ პოეტური კრებულის ერთ, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვან თავისებურებას შევხვები, ეს გახლავთ სიტყვათქმნადობა. სიტყვისა და პოეტის ურთიერთდაპირისმართება ხომ გარდაუვალი და ამავე დროს მრავალწახნაგა სხივივით ფერადოვანია. ეს ფერადოვნება ქალბატონ ლეილასაც შეუნიშნავს. იგი წერს: „თვალში მოსახვედრია ლექსიკა, რომელიც ორიგინალურად მისეულად არის მოტანილი, რომელიც სიტყვათა ზუსტი შერწყმა-შეერთების მხატვრული ხერხის ერთ-ერთ განმტკიცებელს წარმოადგენს, ყურს არ სჭრის, პირიქით – ინტერესითა და გარკვეული აზარტითაც მიჰყვები...“ (ქალბატონ ლეილა ქიტოშვილის სიტყვებს დავიმომწმებ ისევ), აქ უკვე პოეტური ენის გამდიდრებაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

ლექსში „შემოგობლემ“ (გვ.61) ლირიკული გმირის ეპითეტი „ბედმორიალე“ მის დაუდგრომლობაზე მიანიშნებს, ხოლო მისი სათაყვანებელი არსება ბედის უცნაურობით სვენაობლარ ურღვევ კიბედ წარმოგვიდგება, რომელსაც ავტორი ჰპირდება:

ჩემი კრწანისია“ (გვ. 22) ასევე ერთი სიტყვით – ხმლებჩამქრალი, გამოხატავს პოეტი კრწანისის ბრძოლისა და სამასი არაგველის გმირული თავდადების მწარე შედეგს, რის გამოც მკითხველი და ლექსის გმირები ერთად „სიმწრისაგან ურვილებენ“.

დაკვირვება მიჩვენებს, რომ ახალ სიტყვათა წარმოქმნა თამარს არა გარეგნული თავმონონებისთვის სჭირდება ან როგორც რუსთველი იტყოდა: „არ მჭვრეტთა მოლიზარისად“, არამედ ლექსის შინაგანი განცდის მხატვრულად გადმოცემისთვის. ამის დასტურად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ ლექსი „ქეთევან დედოფალი“ (გვ. 23). აქ საინტერესო მხატვრულ სახეს ქმნის „წვიმები მზერალურჯები“, რომლებიც „დედოფლის ცრემლის ფერია“ და კიდევ როცა წამებული დედოფლის სული „მზის გულზე ამომერცხლებით“ მიეახლება უფალს.

ტროპული სახეები პოეზიაში ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ როდესაც ავტორი მხატვრულ სახეს ახალდაბეჭდილი სიტყვით გთავაზობს და თანაც ეს სიტყვები „ყურს კი არ ჭრის, პირიქით, ინტერესითა და გარკვეული აზარტითაც მიჰყვები...“ (ქალბატონ ლეილა ქიტოშვილის სიტყვებს დავიმომწმებ ისევ), აქ უკვე პოეტური ენის გამდიდრებაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

ლექსში „შემოგობლემ“ (გვ.61) ლირიკული გმირის ეპითეტი „ბედმორიალე“ მის დაუდგრომლობაზე მიანიშნებს, ხოლო მისი სათაყვანებელი არსება ბედის უცნაურობით სვენაობლარ ურღვევ კიბედ წარმოგვიდგება, რომელსაც ავტორი ჰპირდება:

„შემოგველები უფლისციხის გულმტრედ ღრუბლებად, შემოგობლემ ჩემს თვალებში მზეალუბლებად!“

ობლობის განცდას, რაღაც თბილი და მშობლიური ემატება სიტყვაში „შემოგობლემ“, რომლის გაგრძელება ზე-ანუელი ტონია: მზეალუბლებად!

სხვა ლექსში კი „ვინ ეგებება განთიადს – სევდაუხილველ სამანს“ (გვ.62) დღისა და ღამის გაყრის სწორედ ის შუალედია მოცემული, როცა ღამის სევდა უნდა დაიფიქსო, ხოლო დღისა ჯერ არ იხილვება; აქვე საინტერესო სახე-ხატს ქმნის მზესახილველი მარამიბის მთვარე.

ლექსში „მოგინამდვილებ“ (გვ. 71) საინტერესო სიტყვაა „მიგულმთვარებს“: ვინ მიგულმთვარებს შენს მადეგობრად, ვინ გამეწმდება? თითქოს გულის ჩაბნელებული კუნჭულების განათებას ნატრობს პოეტი. თვითონ ლექსის სათაურიც „მოგინამდვილებ“ სემანტიკურად საინტერესოა. ნაოცნებარს სინამდვილედ გაქცევო და ამ სამ სიტყვას ერთ სიტყვაში მოაქცევს. ლექსში „სიზმარში დამიძახა სახლმა“ (გვ. 79) ბოლო სტრიქონებში საინტერესოა მეტაფორა – ცისკრისმეჭირისუფლეს – ბებერი ვაზის ღერწებსიმშვიდით... ეძინა მამას!

პატარა უსათაურო ლექსში (გვ. 89) შემოგვანათებს ასეთი მზის და ცრემლის კავშირი – მე მზეცცრემლობდი, განა წვიმები? ეს ახალი სიტყვები, პოეტის მიერ შემოთავაზებულნი სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვაგვარი დატვირთვით უფრო აზარტულ საკითხავს ხდინა თამარის ლექსებს.

„იდეალური იქნებოდა, ყველა მწერლის ლექსიკონი გექონოდა წინასწარ დამუშავებული და მას დამყარებოდა სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი, მაგრამ ეს პირობა არც ერთი ენისთვის არ მოგვეპოვება...“ – წერს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის (1986წ.) წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი, აკადემიკოსი არწრლად ჩიქობავა. ეს იდეალური მოცემულობა რეალობად თუ იქცევა ოდესმე, ალბათ ერთი საინტერესო ლექსიკონი თამარის შექმნილი თუ გამოყენებული სიტყვებითაც შეივსება ასეთ შემთხვევაში.

ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ თამარის პოეზია ტკბილქართულის ყვავილწულია-მეთქი. ამ წიგნის თავიდან ნაკითხვისას იგივე განცდა დამეუფლა და დავამატებ, რომ მისი პოეზიის კითხვისას ამ ყვავილწულის სურნელს აუცილებლად შეიგრძნობს მკითხველი, რომელიც ალბათ უკვე ელოდება თამარის ახალ პოეტურ კრებულსა და მასში აღმოცენებული ახალი სიტყვა-ყვავილების სინატიფეს.

ნიკო არსენაშვილი



მაია სერსუაძე

ნაწყობ-ნაწყობი უიქრები

აპიტაზიის მისტიფიკაციისა

„რუსთველია, რამ გააავთანდილა“

მ. მაჭავარიანი

შენ ხან ზეიმით შემომხვდები, ხან კი – უბრალოდ, ხან – მზეზე შუშის ნამსხვრევებით დაიწყებ ლივლივს... მე მუდამ ვდუმებარ, ეს კი ნუ გწყინს, ჩემო უბანო, ერთხელ იქნება, მინატრებ და ... ვერ გამოვივლი.

ეს სიტყვები მახსენდება თითქმის ყოველთვის, როცა ჩვენი სახლის წინ, გოგებაშვილის ქუჩაზე ჩავივლი, მერე თვალი გამიბრბის მისი ავტორის მემორიალური დაფისკენ, შენობის ფასადზე რომაა გამოკიდული.

„ამ სახლში 1956-1964 წ.წ. ცხოვრობდა პოეტი და დრამატურგი ვიქტორ გაბესკირია“. – ვკითხულობთ მასზე.

ეს ის წლებია, როცა მე ვერ აქ ვზინდარობდი. მას მხოლოდ მისი შემოქმედებითა და სხვათა მოგონებებით ვიცნობ. ვიქტორ გაბესკირიას თავისი ხმა აქვს ქართულ პოეზიაში. მის იდუმალ ლირიკაში იმპრესიონისტული ფერწერის მარკერები შეინიშნება და პოეტის უფაქიზესი სულის ანარეკლია. ის არაა მარტო ლექსებისა ტყეებისა მთქმელი:

„ბატონიშვილი ჯარებს აგროვებს!“ („გახიზნულები“) - ასეთი შეძახილიც გამოისმის მისი სტრიქონებიდან, გამოსისის და ექოდ ედება ჩვენს ქვეყანას, მის დღევანდელ სატკივარ-საფიქრალზეც რეკავს.

შესანიშნავი ლექსებისა და პიესების ავტორი ორიგინალურად მოაზროვნე კრიტიკოსი და ღრმა მკვლევარიც იყო. წელს მას დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა.

ბევრი მსმენია ვიქტორ გაბესკირიას უმნიველო რეპუტაციასა და გამორჩეულ კეთილსინდისიერებაზე, უზადოდ გავლილ ცხოვრების გზასა და იმ თავმდაბლობაზე, მაღალთა თავმდაბლობად რომ უთქვამთ. მის მრწამსად და პოეტურ თვითდახასიათებად კი ის მშვენიერი ლექსი უნდა აღვიქვათ, „ქართლში ნაპოვნი ეპიტაფია“ რომ ჰქვია:

ლხინს ვნევიდი მე იმ ქალაქშიც,
სად მტკვარი და მეტეხია...
ცუდ კაცთან მე არასოდეს
პური არ გამიტეხია.
ალალი შრომაც მიყვარდა.
ოფლი სად არა მდენია,
„იხაროს საქართველომ!“
ტყეშიც კი წამომცდენია.
მზეში გულლად გასულსა
უდროოდ გამავედრებია,
რატომ წვიმხარო, წვიმისთვის
მანაც არ მიკადრებია.
დამილოცნია ფრინველთა
გუნდები, მტკვარზე – ტივები...
სხვა საქმე თუკი ვერ შევძელ,
უფალო, მაპატივი!

რის ქართლში ნაპოვნი, რა ქართლში ნაპოვნი, ეს ხომ თავად ვიქტორი გაბესკირიას ავტოეპიტაფიაა – მისი საფლავის ქვას უნდა ამშვენებდეს...

გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად!

თანამედროვე ბავშვებს უამრავ სათამაშოთა შორის ნაირ-ნაირი პაზლებიც აქვთ. რას აღარ ნახავთ მათზე — კოსმოსის სურათს, წყალქვეშა სამყაროს, ფერწერულ ტილოებს, ბუნების პეიზაჟებს. დანაწევრებული ელემენტებისაგან მთლიანი სურათის აღდგენა პატარებს კოგნიტურ უნარებს უვითარებს და თვალსაზიერს უფართოებს.

ჩვენი გიორგიც ხშირად ერთობა სხვადასხვა პაზლით. ვუყვით ისეთიც, რომელზეც საქართველოს რუკაა გამოხატული, ულამაზესი, ნაირფერი რუკა, მარტო გეოგრაფიითა და ტოპონომიკით კი არა, არა, თავის ყველაფრინა – ჩირ-გვიანა, ჩიტინა, ხიანა...

ჰოდა, შეუდგა ნელ-ნელა პატარა ქართველი ჩვეულ საქმეს, ააწყო ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო. მიადგა იმ ადგილებსაც, დღეს... ისინი როა... ისინი როა და პაზლის ნატეხებით რომ გვაჭრიან ლამის ყოველდღე.

გიორგიმ, ცხადია, ჯერ არაფერი იცის ამ ამბებისა და იმ მინებისა, რაც დაკარგულა, არ იცის, რომ ჩვენც მასავით ასე ნაკუნ-ნაკუნ, ნაკუნ-ნაკუნ ასანყობი და გასამთლიანებელი გვაქვს ჩვენი ქვეყანა.

საქმე რომ მოამთავრა, გაიხარა პატარამ, ჩვენ კი სამხსოვრო ფოტო გადავუღეთ, რომლიდანაც ის იატაკზე გაფენილი თავისი ნამუშევრით კმაყოფილი ღიმილით შემოგვცქერის.

ვუმზერ მის სახეს და ვფიქრობ... ვაითუ ველარა აღჰსდგეს... ვაითუ ეს ჩვენი მძიმე საქმე და მისია მათ დაუფტოვოთ, ვინც მომავლიდან მოდის...

.....
და ღმერთმა ნუ ქნას, ეს რომ ქნას ღმერთმა!

პროფესია ძველი, პროფესია ახალი

თინეიჯერობაში მიტაცებდა და დიდი ცნობისწადილით ვეცნობოდი ძველ პროფესიებს, ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის სახელოებს. მხიბლავდა მათი არქაული, კეთილზმომანი და პოეტური სახელები: მეჭურჭლეუთუხუცე-სიო, მესტუმერო, სუფრაჯიო, ამირჯებიო, მეთარო... ეს უკანასკნელი, რომელსაც მეფის გარდერობი ებარა და ზოგიერთი განმარტებით, მონარქისთვის ცხვირსახოცის მიმწოდებელს ნიშნავდა, პირდაპირი მნიშვნელობით მესმოდა და გულს მიჩუყებდა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი დარგების წარმოქმნა აქრობს ძველს და აჩენს ახალ პროფესიებს. ასე გაჩნდა თავის დროზე მფრინავი, კოსმონავტი, კიბერნეტიკოსი, პროგრამისტი, დიზაინერი, მოგვიანებით – პროდიუსერი, პრომოუტერი, პიარი, ლოჯისტიკოსი, მარკეტოლოგი, ვიზაჟისტი, პარაპლანისტი, დიჯეი... დაიკარგა ძველი პროფესიები მეფაიტონის, მეთულუხჩის, მეკურტნის, დაბალის... ზოგიც მათმა თანამედროვე ანალოგებმა ჩაანაცვლა, როგორც, ვთქვათ, დამკაბადონებელმა ასოთამწყობი...

ციფრული ინდუსტრიის, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების დამკვიდრება-განვითარებამ წარმოშვა ახალ-ახალი პროფესიები: აიტი, ადმინი, ბლოგერი, ვლოგერი...

გაჩნდა კიდევ ერთი, ჩემი ფიქრით, უცნაური პროფესია, პროფესია სოცქსელებში ანგარიშის ისეთი მეპატრონისა, რომელსაც ჰყავს დიდი აუდიტორია – თავისი მრეელი ან თუ გნებავთ, ბაბლი ახალ ჟარგონზე. ეს არის პირი, რომელიც მეტად აქტიურია ამ ქსელებში, ათენ-ალამებს იქ, დიდ დროს უთმობს ვირტუალურ თვითწარმოჩენას, წამოწევს თემას და აიყოლიებს კამათში ე. წ. ფრენდებსა და ფოლოუერებს. ერთი სიტყვით, გახსნილი აქვს თავისი ვირტუალური სალაყბო თუ საფიხენო, ზის მის თავში და თუ სიტყვაც მაუდის გზიანი, პოპულარობა გარანტირებული აქვს — არანაირი ოფიციალური განათლება თუ დიპლომი საამისოდ მას არ სჭირდება, ის შეიძლება არც კი მუშაობდეს სადმე და მაინც ჰქონდეს თავისი საქმე და თავისი პროფესია, პროფესია — ინფლუენსერი.

ბატონიშვილის თეიმურაზის

რუსეთში გადასახლებული თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ახალ მისამართს სწერდა მარი ბროსეს და ატყობინებდა, რომ იმჟამად ის ესახლა „სანკტ პეტერბურლს, ვასილის ოსტროვასა შინა მეცხრეს ლინიაზედ, მახლობელ მდინარესა ნევისა № 8-ს“.

სწორედ ამ სახლში ხანგამოშვებით ეწვიოდა ხოლმე მას გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მოგვიანებით ასე გაიხსენებდა მასპინძელსა და მასთან სტუმრობებს:

„ბატონიშვილ თეიმურაზთან რომ შევიდოდა კაციო... ის ჯერ თავაზიანად დაუწყებდა სტუმარს ლაპარაკს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უეცრად, თითქო დაილალო, გაჩუმდებოდა, დაფიქრდებოდა და ოცნებისაგან გატაცებული დადებოდა, ან დაჯდებოდა ერთს ადგილზე და მან, უძრავად, უენოდ. ამ მდგომარეობიდან რომ გამოფხიზლდებოდა, ჩვეულებათ ჰქონდა წამოეძახნა: მერე? და ნაცნობ-მეგობრებიც გასცემდენ იმ გვარ პასუხს, რა გვარსაც მოიმარჯვებდენ. ერთხელ, ამ გვარი დაკარგულის ფიქრის შემდეგ, მეც მკითხა ჩვეულებრივი: მერე, მერე, ჩემო გრიგოლ? მეც მოვახსენე ხმა-მალა: მერე, ბატონო, ნავასხით ყარაიაში წევარ-მეძებრები, დავედევნეთ ჯეირანს და მანამ ვსდიეთ, სანამ... ამაზე იმანაც სიამოვნებით: ოჰო! ჰო! ჰო! ჩემო გრიგოლ, ჩემო გრიგოლ! მაგრე, მაგრე!“

ძნელი საცნაური არ უნდა იყოს მასპინძლის „ამ გვარი დაკარგულის ფიქრის“ საგანი და გუნება-განწყობა, გრიგოლისგანვე „ბაგრატიონთა სპლინად“ სახელდებული. დამონებული სამშობლო და დაკარგული ტახტი იყო მისი საგლოვის სარჩულ-საპირი, ტახტისა, რომლის აღსადგენად თავის სახლიკაცებთან ერთად თვითონაც კი გაებრძოლა, მაგრამ... ამაო იყო ყოველი.

პეტრეს ქალაქში თეიმურაზს მთავარ საქმედ უკვე მწერლობა და მეცნიერება გაეხადა. გამორჩეული ძალისხმევა

შეელია ქართველთა უმთავრესი საგანძურისთვისაც და თავისი დიდი პაპის ვახტანგის დარად „პოემის ვეფხის“ თვალსაჩინო განმმარტებელი შექმნილიყო.

„მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზ ბატონიშვილის სახელი, რომელშიაც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ვრცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურს გასართობს, რომლის მიზანი არის, თავისი შრომით უკვდავოს სხენება თავისი ერისა, რომლის მდაბალ მონაფედ, სვინდისის ქვეშ უნდა ვთქვა — აღვიარებ ჩემს თავს“ -ო, წერდა მასზე ზემოთ ნახსენები ფრანგი მეცნიერი.

ბატონიშვილის ამ მაღალი ზნეობის დასტურად გამოდგება მისი პეტერბურგული ცხოვრების ერთი ეპიზოდი, რომელსაც უგანათლებულესი თავადი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი იხსენებს თავის ხელნაწერ თხზულებაში „Благороды в России“:

ბატონიშვილის ბინას კარგით მისდგომია მრავალი ორდენითა და მედლით მკერდამშვენებული უცნობი მოხუცი გენერალი და თეიმურაზთან ცალკე საუბარი უსურვებია. მიპატიჟების შემდეგ მას მასპინძლისთვის ასე მიუმართავს: თქვენო ბრწყინვალეზავ, შემხედეთ და თვითონ დარწმუნდებით, რომ ვიმსახურე დიდხანს და შემიძლია ვთქვა, საკმაოდ სარგებლიანად და გამორჩეულად. თქვენთან მოვედი კარგით, მაგრამ მე სანყალი ვარ. ჩემს ოჯახს არ აქვს საქმელი და არც ჩასაცემელი. ჩემი პენსია ამდენია, შესანახი კი მყავს ამდენი. ქუჩაში სიარული და სათხოვრად ხელის გაშვება ვერ ვერ გადავწყვიტე, მაგრამ ვიცი, ვინა ხართ თქვენ და როგორი წარმომობისა, ამიტომ არც დავეიქრებულვარ, გთხოვთ თქვენ დახმარებაო. ბატონიშვილს სიტყვა არ დაუძრავს, ამოუღია ასმანეთიანი და მიუცია გენერლისთვის, რომელსაც მადლობა მოუხსენებია და წასულა. ამ შემთხვევის შემსწრეთ — თეიმურაზის ახლობლებს გულკეთილი ბატონიშვილისთვის ასეთი აჩქარება უსაყვედურიან და უთქვამთ მისთვის, რომ აჯობებდა, ვერ გამოეძია, რომელი გენერალი იყო ის და ვინმე თაღლითთან ზომ არ ჰქონდა საქმე. ამაზე ბატონიშვილს მიუგია, ის თუ მართლა თაღლითია, მას ღმერთი მალე დასჯის, რაიმეში გამომყვანდება მისი ბოროტმოქმედება. მე კი მისთვის რომ მეპასუხა, ფული არა მაქვს, მაშინ როცა მე ფული მაქვს, ორივე მატყუარები ვიქნებოდით — ისიც და მეცო. და თუ ის იყო ნამდვილად საცოდავი, საბრალო მოხუცი, მაშინო? „მანამ შენ გაერკვევი სინამდვილეში, ოჯახის წევრები შიმშილით დაეხოცებიან. აბა როგორ განსჯი? ჩემი აზრით მატყუარად მე, ერთი დავრჩებოდი, მხოლოდ მე დავრჩებოდი ცოდვილი“ -ო, დაუყოლებია ბატონიშვილს.

.....
ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდა...

არა ფილმებითა სოლო

სახლი, რომელშიც ჩემი მეუღლის ოჯახში გათხოვების შემდეგ ვადმოვედი, დღესაც „მწერალთა სახლად“ იხსენიება, რადგან იქ ერთ დროს ქართველი მწერლები — პავლე ინგოროყვა, პოლიკარპე კაკაბაძე, ალექსანდრე ქუთათელი, გიორგი შატერაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, აკაკი ბელიაშვილი და სხვები ცხოვრობდნენ. გული მწყდებოდა იმაზე, მათ ცოცხალს რომ ვერ მოვესწარი. ის კი მიხაროდა, მათი ოჯახის წევრებსა და შთამომავლებთან რომ ვემზობობიდი და ვემგობობიდი კიდევ.

ერთი ასეთი კაცი დიდი პავლე ინგოროყვას სიძე, შესანიშნავი რეჟისორი გეგული მგელაძე გახლდათ, ჩვენი სახლისა და ეზოს კოლორიტი, რომელსაც რამდენიმე წელია, რაც დავემშვიდობეთ. კომუნიკაბელური, გულგახსნილი და გულზიარი კაცი იყო ბატონი გეგული, „კინოს სახლში“ თავისი ფილმების პრემიერაზე ყველა მეზობელს გვაპატიჟებდა ხოლმე. მძიმე 90-იანებში, როცა ფილმების გადაღებას მიზეზთა გამო ველარ ახერხებდა, მან კინოკამერა გვერდზე გადადო და კალამს მოკიდა ხელი – მოგონებების, ჩანახატებისა და ლექსების რამდენიმე კრებული გამოსცა, რომლებიც გულთბილი წარწერებით ჩვენც გვისახსოვრა. დიდი ინტერესით წავიკითხე ისინი და შიგ ბევრი რამ საგულისხმო ვპოვე, ავტორის სახით ნიჭიერი კალმოსანიც გავიცანი. აი, ეს „ექსპრომტი“ კი თავისი კეთილზმომანებითა და ორიგინალური რითმებით, შიდა რითმებიც რომ ურევია, როგორც ხშირად კარგი ლექსისას ხდება ხოლმე, წაკითხვისთანავე დამამახსოვრდა და არ მინდა ჩაკარგოს:

დიდ რომანისტს თომას მანს,
გენიალურ ფიროსმანს,
შავგულიძის ხარიტონს,
გამრეკელის ბარიტონს,
ვივიენ ლის ყველა ფილმს,
და მის ლედი ჰამილტონს,
ჩვენი ვაჟას ყველა ტომს
და უშანგის ყველა როლს,
ყველა ჩვენს დიდ წინაპარს
გული შემოინახავს.

ამ ლექსითაც შემოინახავს გული ბატონ გეგულის, მის ფილმებთან ერთად, რაღა თქმა უნდა.

შენაბკილება ანუ HARMONIA

ყველა მწერლის წინაშე ჩნდება კითხვა – დაწერო თუ არა, ანუ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდები...“ მეც დამებადა ეს კითხვა და თუმცა კარგად მაქვს გასივრცელებული გამოთქმა „დუმილი ოქროა რჩეული“, მაინც დავწერ.

დაიხ, ჰარმონია ბერძნული სიტყვაა, ქართულად კი ასე ითარგმნება „შენაბკილება“, „თანხმობა“. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ალბათ იმას, ქართველებმა ქართული სიმღერა ერთად უნდა ვიმღეროთ, არ დაგვერღვეს გუნდური ბალანსი – ერთი ხმა არ გაჰკიოდეს, მეორე არ ჩუმდებოდეს მისი გამგონე, მესამე – კატეგორიულად არ ემიჯნებოდეს დანარჩენ ორს და სხვა მელიოდის არ აუღერებდეს. მართალია, გურულებმა სრულიად მოულოდნელად კონტრაპუნქტი შემოგვთავაზეს, მაგრამ ეს მაინც სხვა სიმღერა, ანუ სხვა მელიოა არ არის, ეს გამოკვეთილი თავისებურებაა და თავისებურების არსებობის უფლება ყველა კუთხეს აქვს ისევე, როგორც ყველა ადამიანსა და ყველა ქვეყანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, „უთვალავი ფერი“ არ მოგვეცემოდა ეს სამყარო.

რაკი რუსთველურ ფრაზას შევხებ, აქვე მინდა დაგისვამთ კითხვა: რას ესწრაფვის რუსთველი თავისი პოემით? ჰარმონიას, სწორედ ჰარმონიას! სხვა რა უნდა იყოს, როცა ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან, ერთმანეთისთვის თავს სწირავენ, როცა ქვეყნები მშვიდობიანად და პატივისცემით თანაარსებობენ, თან თანაარსებობენ იმისთვის, რომ ბოროტება – ქაჯეთი – დაამარცხო. არ მინდა, პოლიტიკას შევხებო, მაგრამ... თქვენ ალბათ მეტყვით, რომ ქაჯეთი რუსეთის სახეა, მე კი გიპასუხებთ, რუსეთის არა – კრემლის, თუმცა არც სხვები ერიდებიან ქაჯობას. რუსებს ერთი სრულიად გენიალური კინოსურათი აქვთ: „ყველაფერი ადამიანებს რჩება“, სადაც თითქმის მთელი ფილმის მანძილზე, ადგილ-ადგილ მიმდინარეობს დიპლომატიური ფიზიკის მკვლევარსა და მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარს შორის. ვისაც არ გეზარებათ, ნახეთ ეს ფილმი! და თქვენ მიხვდებით, რომ რუსეთი მხოლოდ კრემლი არ არის და მეცნიერების მიღწევებიც მხოლოდ კეთილი მიზნებით უნდა გამოიყენო. და აქ კიდევ ერთი კითხვა მეზადება: ნუთუ ქაჯობა ასეთი ტკბილია? არა და საყოველთაო ჰარმონიას არღვევს.

როცა ბავშვობაში ვაჟა-ფშაველას „ამოდის, ნათებდა“ წავიკითხე, ერთიანად შემძრა მოხუცი ტოტის ამბავმა. ტოტის ამბავი ერთი ერთზე ჰგავს ადამიანთა ყოფას. ვაჟას სხვა გენიალური მინიატურებიც აქვს, მაგალითად, „სინდისი“, ან თუნდაც „კლდე მხოლოდ ერთხელ თქვა“. პირველ მათგანში აბელისა და კაენის ურთიერთობაზე საუბრობს ჩვენი დიდი მოძღვარი, რომ ძმათა მკვლელობა ყველაზე დიდი ცოდვაა ამქვეყნად. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო ომზე დიდი ცოდვა სხვა რამ იცით? და რაც მთავარია, ამ ომს გამარჯვებული არ ჰყავს, ორივე მხარე დამარცხებულია, ძმობა და მეგობრობა – დამსხვრეული, განადგურებული.

მეორე მინიატურაში კი მდუმარე, უსიტყვო კლდე მხოლოდ ერთხელ ამოიღებს ხმას და ერთადერთ პასუხს გასცემს შემკითხველსა და განმდობს – „გიყვარდეთ, ადამიანებო ერთმანეთი!“ ალბათ გახსოვთ ოთარ ჭილაძის მშვენიერი, ქვეტექსტებით დატვირთული ზღაპარი, რომლის მიხედვითაც შემდეგ დიდებული ფილმი „ლონდონი“ გადაიღეს. მართლაც, ნუთუ შიშოვილ უნდა იბას კაცმა, რომ დაუნდობელ ნუთისოფელს გაერიდოს?! მაგრამ სასურველ სამოთხესაც რომ ვერ მიაღწევს? რადგან უფლის დროებით მოცემული სიცოცხლე უფალმაც უნდა წაიღოს. ჩიხია? დაიხ, ჩიხში ვართ ყველანი და ერთადერთი რამ გვასულდგმულებს:

„მაგრამ რადგანაც კაცი გვეყვან, შეიღწეოს სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდით მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

კაცი ქართულში ხომ მამაკაცსაც ნიშნავს და დედაკაცსაც, ჩვენ კი რატომღაც გვაინფიცირებს ამ სიტყვების არსი და მნიშვნელობა. კაცი კი ღირსება და სინდისია. როგორც ოთარ ჭილაძე ამბობს, ადამიანს ყველაფერი რომ წაართვა სინდისის გარდა, ის მაინც ადამიანად დარჩება.

ჩემი აზრით, ადამიანს ღმერთი და სამშობლო უნდა უყვარდეს უანგაროდ, ანგარიშმიუცემლად, უპასუხოდ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, არასოდეს არ უნდა თქვას, მომბეზრდა შენი „რაზედ მოგიყენია“, შენი მოწყვნილი, სევდიანი სახე! იქ წავალ, სადაც შენს მოწყვნილ სახეს არ დავინახავ!

ახლა თქვენ მეტყვით, შენ არავინ გაბადია ამქვეყნად და საფიქრალიც ნაკლები გაქვს... მე კი გიპასუხებთ, რომ არც შეიღწევისთვის, არც ოჯახისთვის და მით უმეტეს, არც ძალაუფლებისთვის არ უნდა იკადრო ყველაფერი, ანუ სამშობლო უნდა გიყვარდეს და არა შენი თავი სამშობლოში.

წოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ ერთ-ერთი გმირი ამბობდა, ამხელა ქონება შენს ნაბიჭვარ შეიღებს რომ დაუტო-

ვო, მერე იმათ რაღა უნდა აკეთონ ცხოვრებაში? მართლაც, მამონას მოყვარულთა შვილებმა, სხვისი ძარცვისა და წაღების, ძალადობისა და ბოროტების მეტი რა უნდა აკეთონ?

სამწუხაროდ, როცა ჩვენ ყველაფერს შევიმეცნებთ, სიბერეც მოდის, ძალაც და ბრძოლის უნარიც გვაკლდება, აი, ისე, როგორც ფსალმუნშია: „დღენი წელიწადთა ჩვენნი, ვითარცა დედაზარდალი იწურთიდეს...“ რამეთუ მოვიდა ჩვენზედა სიმშვიდე და ჩვენ განვისწავლეთ“. დაიხ, მაგრამ დამშვიდებაც რომ არ გველირსა?! არ გველირსა, რადგან შეხმატკბილება ვერ მოვახერხებთ, ერთი რომ ალთას გარბის, მეორე – ბალთას დასაძახის და ასე გრძელდება მარადეფამს. მარადეფამს-მეთქი იმიტომ ვამბობ, ჩვენი ისტორია სულ ერთმანეთის წინააღმდეგობით დამსობის სურვილია.

ერთი თავი მიყვარს განსაკუთრებით ლევან გოთუას „გმირთა ვარამიდან“ — „დიდი დარიგება“, როცა კახეთის დედოფალი ქეთევანი მთელ საქართველოს შემოივლის დროშითა და ჯვრით ხელში, ყველა კუთხის წარმომადგენელთ საქართველოს დროშაზე დააფიცებს ერთმანეთთან უბრძოლველობასა და ერთიანობას. როცა ქალი ჩაუდგა ჩვენს ქვეყანას სათავეში, ქალი მაინც დედაა და სიყვარულს დათესს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მოგტყუვდი. ის ხომ წმინდა ქეთევანი არ არის და დღეს ალბათ ვერც ვერავინ იქნება. წმინდა ქეთევანის ხსენებაზე მედია კახიძის ლექსი გამახსენდა, რომელიც, ჩემი აზრით, საუკეთესოა ამ თემაზე დაწერილ ლექსთა შორის და, რომელიც ასე მთავრდება:

„- ეგრე, დედოფალო, ეგრე, ცოტაც და იწყება ზეცა...“

დაიხ, ეს ქეთევან ნამებულისთვის დაიწყო ზეცა, ჩვენ კი ჯოჯოხეთი გველის, რადგან ერთმანეთს ვერ შევავარეთ ქრისტე და სამშობლო, ვერ შევავარეთ თანალობა და ლობიერება, ვერ შევუხმატკბილეთ ერთმანეთს „ოდელა-დელა-დელაო“.

ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ წავიკითხე როსტომ ჩხეიძის მეტად საგულისხმო მინიატურა, რომელშიც ოცნება უფრო მძლავრობს, ვიდრე რეალობა. და გვეუბნება ავტორი, რომ იორამ ლუდუშაურის კარმიდამოში, სწორედ ერთად ძოვდნენ თხა და მგელი. და ისევე ოცნებით ასრულებს ამ პატარა თხზულებას:

„მაგრამ სადღაც ხომ მაინც ტრიალებს ძველებურად მინდია. სადღაც მაინც ხომ ძოვენ ერთად თხა და მგელი“.

მწერალი, როგორი პოლიტიკური მრწამსიც არ უნდა ჰქონდეს მას, მაინც ჰარმონიული პიროვნებაა. მწერალს ყველა უყვარს, მათ შორის თავისივე უარყოფითი გმირებიც. როგორ ფიქრობთ, კონსტანტინე გამსახურდიას არ უყვარდა ფარსმან სპარსი? აბა, დაუკვირდით, რა სიტყვებით ეფერება ის თავისი პერსონაჟის ბედსა და ნიჭიერებას:

„ვერ გაგიბედოს შენ ხელყოფა მუხთალმა დრომა, ზღვისგან ისწავლე ლელვის შემდეგ გულდამშვიდება, განაგდე შენგან ნუთისოფლის მტკნარი დიდება, დაიმსახურე მართებულად მეფეთა წყრომა“.

ან, როცა დავით კლდიაშვილს 1930 წელს დიდი იუბილე გადაუხადეს, თუმცა ის მას არ დასწრებია, „ვიღაც“ მოკომუნისტო პიროვნებამ ბრძანა, რომ მწერალი აზნაურთა კლასს დასცინოდა. ბატონი დავითი მეტად გაანაწყენა ამ სიტყვებმა და დაწერა: „ჩემს სიცოცხლეში არავისთვის დამიცინია. მე მეზრალბობადადამიანი, რომელიც ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა...“

და განა იღია თვადებს დასცინოდა, როცა ლუარსაბ თათქარიძეზე წერდა?! მას თავისი ქვეყანა უყვარდა, ეზრალბოდა ის ლუარსაბისნაირთა ხელში. აბა, რატომ შექმნა არჩილის დაუფინყარი სახე? განა ის თავადი არ იყო? დავანებოთ ქართულ ლიტერატურას თავი და განა ბალზაკს არ უყვარდა თავისი გობსეკი, ან შექსპირს – იაგო? განა დოსტოევსკის არ უყვარდა როდიონ რასკოლნიკოვი, ან ჩემს მიერ თარგმნილ „პეტერბურგში“ განა ბელის არ უყვარდა თავისი აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვი?

დაიხ, მწერალი სიყვარულია, რადგან ის ყველაფერს უფლისგან ღებულობს. მეც თქვენ ყველანი მიყვარხართ – ამა თუ იმ აზრზე მდგომნი, კეთილნი და უკეთურნი, ნიჭიერნი და უნიჭონი, ნივნიერნი და უნივნიერნი და არ მინდა, დაირღვეს სიყვარული ჩვენს შორის. ისედაც პატარა საქართველოში შენჩეობა რა სათქმელია! და მწერალს თუ თავისი ერის კაცი არ უყვარს, ის ვერც მკითხველს ვერ შეიყვარებს და მე მგონი, მწერალიც არ არის!

ძალიან ხშირად ვიმეორებ ჩვენი ერისთვის მეტად საგულისხმო სტრიქონებს: „ერისთვის, მთლიან სახელმწიფოსთვის უმჯობესია ერთ – იქნებ არა საუკეთესო აზრზე და მრწამსზე მოდგეს ყველა, ან დიდი უმრავლესობა, ვიდრე მრავალი საუკეთესო აზრი იყოს და ვერც ერთზე ვერ მოდგეს ერი...“

თქვენ გგონიათ, არ მესმის, რომ მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ? მაგრამ მე ვალდებული ვარ, კიდევ და კიდევ გაგიმეოროთ ეს. დაწყნარდით, დამშვიდდით, მეგობრებო! სიმშვიდეს სიბრძნე მოაქვს, სიბრძნის გარეშე კი ვერც ერთი კეთილი საქმე ვერ გადაწყდება.

გვინდა თუ არა, ჩვენ მაინც რუსთველის ქვეყანა ვართ და თუ არ ავახდენთ მის ოცნებას „თხა და მგელი ერთად ძოვდესო“, – ვიოცნებოთ და ხელი შევეწყნოთ მისი და ჩვენი ოცნებების ახდენას.

ნიწო ქუთათელაძე



„ქუჯი“ – შესუთელ

1-2-3 სექტემბერს ზუგდიდში გაიმართა ლიტერატურული კონკურსი-ფესტივალი „ქუჯი-2023“. ერთი ლექსის კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ: პირველი პრემია – გიორგი ხარაიშვილი, მეორე პრემია – ნინო მოდრეკილაძე, მესამე პრემია – ბექა ახალაია, ნანა აკობიძე.



„ქუჯი-2023“-ის ფარგლებში პრემია „ქუჯი – ერთიანი საქართველოსთვის“ მიენიჭა კონკურსის ფინალისტს, უანგარო ქველმოქმედებით გამორჩეულ პოეტსა და ექიმს **ჯენი ჩხეიძეს**. ასევე, 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით და გიორგი ჭყონდიდელის პირველი საავტორო მედლის დამზადებისთვის დაჯილდოვდა მხატვარ-დიზაინერი, „ოსკარ შინდლერის აკადემიის“ დამფუძნებელი მაქს მერ შავიტი. „ქუჯი-2023“-ის ფარგლებში, გიორგი ჭყონდიდელის სახელობის დიპლომებითა და „ოსკარ შინდლერის აკადემიის“ მიერ სპეციალურად შექმნილი პანოებით დაჯილდოვდნენ ლვანლმოსილი, იუბილარი პოეტები და პროზაიკოსები. გიორგი ჭყონდიდელის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ: ავთანდილ ყურაშვილი, რაულ ჩილაჩავა და ვასილ ბესელია.

„ლიტერატურული საფიზნოს“ მიერ დაწესებული პრიზით, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და „შპანამეს“ თარგმნისთვის, დაჯილდოვდა პოეტი და მთარგმნელი **ბელა შალვაშვილი**. კონკურსი-ფესტივალი „ქუჯი“ წელს მეხუთედ ჩატარდა.

გიორგი ესაბუა



მთავარი რედაქტორი **ნიანა ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატარაძე**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატარაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პელა გველესიანი, მზია პარპაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ჰანსი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთის პოლიგრაფიული გაბეჭდვა
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს № 1 ; ტ ე ლ . : 2 9 3 6 9 7 7 E-Mail: litsaqaartvelo@yahoo.com